



# ეპისტოლები

## სამრეცხლო


ISSN 1987-8729



9 771 987 872003

სამაცნეო-საიცორმაციო ჟურნალი №10 (54), ოქტომბერი, 2015

საზოგადოებრივი  
ჯანდაცვის ხალხოւნი –  
„სოფლის მაურნეობის  
სამინისტროს ლაპორატორიის“  
მთავარი პრინციპი



სსიპ საქართველოს მფლობელის მაურნეობის სამინისტროს  
ლაპორატორია ქ. თბილისი, 3.მოძიანელის ქ. 65  
(995 32) 2 53 0968  
[www.lma.gov.ge](http://www.lma.gov.ge)





ლომთაგორა  
LOMTAGORA

# ფირმა ლომთაგორა გთავაზობთ კართველი ხორბის სერტიფიცირებულ თასე - ერისა



## უცვი მოსავლისათვის



დაგვიკავშირი  
„ფირმა ლომთაგორა“ ტელ.: 591 91 82 88, 591 20 25 25, 591 150 154.  
info@lomtagora.com; www.lomtagora.com



HP  
69-102 | MF 3600

(V/S/F/GE) ახალი მოდელი 4 ვერსიით  
მისი პალა, მისი განვევა, მისი სარგებელი



ხელვა სიახლე ლიდერობა ხარისხი საიმედოობა მხარდაჭერა სიამაყვა ვალდებულება

ოფიციალური დილერი



www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge  
+99 50 00; +99 18 18 81




MASSEY FERGUSON  
გადა ზორგისცონი

# MF 3600

**3600 სერიის საბაზო-სავენახო ტრაქტორები,  
რომელთაც იდეალურია თქვენი გაურნეობისათვის**

„Massey Ferguson“-ის (Massey Ferguson) 3600 სერიის გაღალი ხარისხის კომფორტული ტრაქ-ტორები კაპინით ან უკაპინოდ, სხვადასხვა სიგანის, სიმძლავრის და საეციფიკაციის, 4X2 ან 4X4 წარმატებით განვითარებული აროპანების გადასაზრებლად.

အမှတ်	အောက်	G6.d.
MF 3625	V/S/F/GE	69
MF 3635	V/S/F/GE	80
MF 3640	V/S/F/GE	84
MF 3650	S/F/GE	94
MF 3660	S/F/GE	102



სავენახე ვერსია (V) Vineyard Version (V) – სიგანე 1 მ-დან. ეს მოდელი სპეციალურადაა შექმნილი ტრადიციული ვინოს განხევებისათვის, 1,5-2 მატრ რიგთაშორისებრი სამუშაოდ.

სპეციალური ვერსია (S) Special Version (S) – სიგანე 1,3 მ-დან, ეს მოდელი გამიზნულია შედარებით გაშლილი ვენახებისათვის – 2-2,5 მეტრი რიგთაშორისებში სამუშაოდ. გაუმჯობესებული, კომფორტული, ჯართა კაბინით.

საბალვ ვერსია (F) Fruit Version (F) – სიგანე 1,5 მ-დან გამოიზნულია ვენახებისა და ხებილის ბალტებსათვის. ეს არის უფრო მძლავრი და განიერი ტრაქტორი მეტა შესაძლებლობებით.

**GE 30რსის GeVersion** – სიგანე 1,15 მ-დან. ეს მოდელი სპეციალურად დაბალი ხეიზნის ქვეშ სამწარმოდ არის შეკმინილი.

၂၇၀၆၀၁၉၁၈၁၀ ၅၀၉၁၀

**WORLD TECHNIC**

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) E-mail: info@worldtechnic.ge  
+2905000; +2181881

ଭାରତୀୟ ପରିମାଣରେ ଏହାକିମ୍ କାମକାଳୀ ଦେଖିଲୁଛନ୍ତି ଯାହାକୁ ଆଜିର ବ୍ୟାପକ ଅଧିକାରୀଙ୍କ ପରିମାଣରେ ଉପରେ ଦେଖିଲୁଛନ୍ତି ଏହାକିମ୍ କାମକାଳୀ ଦେଖିଲୁଛନ୍ତି ଯାହାକୁ ଆଜିର ବ୍ୟାପକ ଅଧିକାରୀଙ୍କ ପରିମାଣରେ ଉପରେ ଦେଖିଲୁଛନ୍ତି

ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ  
ტენიკუს ლინგენურება ეტაპობრივად

ახალი აგრარული  
საქართველო  
AKHALI AGRARULI SAQARTVELO  
(New Agrarian Georgia)  
ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინიციატიურო ჟურნალი.  
Monthly scientific-informative magazine  
ოქტომბერი, 2015 წლის  
№10 (54)

სარედაქციო კოლეგია:  
შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),  
ნუგარ ებარიძე, რეზონ ჯაბაძე, მიხეილ  
სოხაძე, თამარ სანიაძე, ნოდარ ბრეგვაძე,  
ბექ გრინბერგი, გორგი ბარისავეგილი  
(ტექნიკური და მეცნიერებების რედაქტორი), თამარ გუგუშვილი (ინგლ.  
ენა). რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:  
აკადემიური სამუშაო, მეცნიერებათა  
დოქტორები, პროფესორები:  
რევნ მახარიბლიძე (თავმჯდომარე),  
გურამ ალექსიძე, ზაურ უუტკარაძე,  
ნოდარ ჩხატუშვილი, ნუგარ ებარიძე,  
პატა კორუაშვილი, ელგუჯა შეფაძე,  
შოთა ჭალავაგიანი, ზვარ ბრეგვაძე,  
ელგუჯა გუგუშვილი, ლევან უჯაბერიძე,  
ზაურ ჯუღაშვიძე, ზურაბ ჯინჯიაძე,  
ქრისტი კახნაშვილი, ადრიან ტევეშვილი,  
ნატო კაცაძე, კუტური ქერია, კახა ლაშხი,  
ომარ თევერიაძე, ჯამალ კაციტაძე,  
ნუგარ სარჯველაძე, თენგიზ გურამშვილი,  
ზურაბ ლილიძე, ქობა კობალაძე.

#### გამოცემები:

„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);  
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).  
საქართველოს რეგიონული კუნძულიური  
პრიორიტეტების კვლევითი ცნობრი „რეგიონია“;  
Regionica — Georgian Research Center for Regional  
Economic Priorities.  
რედაქციის მისამართი:  
თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53  
ტელ/ტელ: +995 (032) 2 90-50-00  
599 16-18-31  
Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53  
[www.regionica.org/journal.html](http://www.regionica.org/journal.html)

ელ-ფოსტა: [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
„ოვერიული“  
(ინტერნეტ-ბაზე)  
[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)  
ახალი აგრარული საქრთველო

დააკაბლონა გორგი მაისურაძე  
ფურნალი ხელმძღვანელობს  
თავისუფალი პრესის პრინციპით.  
The journal acts in accordance with the principles of free press.  
© სავტორო უფლება დაცულია.  
All rights reserved.  
რეფერირებადა 2011 წლიდან  
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა გრიფონში“

სამოწმონი შენიშვნი „ახალი აგრარული სამეცნიერო“!  
პრესის შამრეშლების სასამცოდებელი:  
„ელვაჯი“ ტელ.: (032) 2-38-26-73; (032) 2-38-26-74);  
„საქართველოს გამოცემა“ (0 (32) 2518518).  
1 წლით ურნალის გამოცემა დის 24 ლარი,  
6 თვეთ – 12 ლარი.

## ცოდნული წაიკითხვები:



7

რას ფიქრობდა და წერდა იღია  
შავავაპარი ჩვენს მაღალიერება-  
მავალეობებაზე 130 წლის წილით

როგორ დავიჯეროთ, რომ ღვინომ,  
ეს იგი, მომეტებულმა წყარომ  
სიმდიდრისამ, ერთ გააღარიბოს.



16

გიორგავალუეროვენება და გასუბ  
გლობალური დათბობაში გავლენის  
ზოგიერთი საკითხი

გლობალურ დათბობაში ძირითადი  
ნელილი შეაქვს ნახშირორჟანგს (CO<sub>2</sub>)



32

რა საშიროებას წარმოადგენს  
მღრღელები და როგორ  
ვებრძოლოთ მათ

ნათესებს, მოსავალს. ერთი  
ზრდასრული ვირთაგვა დღე-  
ლამები 50გრ. მარცვლეულს ჭამს,  
რაც წელიწადში შესაბამისად,  
შეადგენს 18გგ-ს. თაგვი დღეში 4გრ.  
მარცვლეულს ჭამს, ნელიწადში – 1,5  
გგ-ს. 10000 ვირთაგვა – 180 ტ-ს,  
ხოლო 10 000 თაგვი კი 15 ტონას.

6 ღვინობის შემთხვევა  
საქართველოში

10 ბიომასის გამოცემა  
მირითა ურიცხვისას

12 თავისის | ღვინის ქარხანა  
მავალეობის ტრადიციული

12 ძირი - როგორი იყო ის  
გიორგავალუეროვენების  
გავლენაში გზები

14 საქართველოში  
როგორი და გათი  
გამოყენების ზესაძლებლების  
ფარგლენულ გაურიცხვები

20 რა მოახვევა ტურიზმის  
გავლენაში სოფლიდ?

26 ეკოლოგიური რისები და  
მოსავალი სუბტროპიკულ  
ზონები

29 ხორბლის გავლენა  
როგორი გავლენა

33 კულტურული ფუავი -  
სასარგებლო მენეჯერი

35 აირშუას  
[COCHLEARIA ARMORACIA]

36 უნივერსიტეტის ცველაზე  
ახალგაზრდა რეპროდი -  
ცენტრი ცენტრალი



## დაიცირკისთვის საქართველოში

კახეთში აპილის ფონზე დაწყებული რთველი აპტიურ ფაზაში შედის და გალე დასრულდება კიდევ. ვერგართალელვა მართალია ჩატერა, მაგრამ მავრენებები უკამოვილებას არ გალავან და აგვირენ, რომ არსებული ფასით მათ ვერადის მოვლაზე გაცემული ხარჯის დაზიანება უძირო არ ძალია მცირე მოგზავა რჩებათ. მთავრობა, შპარგალელის მსმავსად ცლეულსაც დაგეხმარა კახელ მევენახევებს, კვლავ გააგრძელა ზურდის სუბსიდირება, მაგრამ დაგეხმარება მევენახევებს არასაკმარისად მიაჩინიათ. როგორც ჩანს, კახეთში ყურქის გაზარი დასარეგულირებელია და სუბსიდირება კარგი გადაწყვეტილება არ არის.

მალე რთველი ქართლსა და დასავლეთ საქართველოშიც დაიწყება. წელს მევენახეები რაჭაშიც კარგ მოსავალს ელოდებიან.

საქართველოში ოქტომბრის დასაწყისში ქართული ღვინის დღე აღინიშნა.

მცირე მუზეუმი, ენოთეკა, მარანი, სადეგუსტაციო ოთახები და სასწავლო აუდიტორიები – ეს ყველაფერი ქართული ღვინის ცენტრში ერთიანდება.

ცენტრი, რომელიც ღვინის ეროვნული სააგენტოს განახლებულ შენობაში განთავსდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა სოფლის მეურნეობის მინისტრ ითარ დანელიასთან ერთად გახსნა.

„ჩვენი მიზანია, კიდევ ერთხელ მთელს მსოფლიოს შევახსენოთ, რომ საქართველო ვაზის და ღვინის სამშობლოა; რომ აქ, ამ მიწაზე, უკვე

8 ათასი წელია, ინარმოება ღვინო; ეს განლავთ ადგილი, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც ღვინის „აკვანმა“, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ლარიბაშვილმა რამდენიმე წლის წინ აშშ-ში გამართული შეხვედრაც გაიხსენა და ალნიშნა, რომ კალიფორნიის უნივერსიტეტში ღვინის ისტორიის სწავლება საქართველოთი იწყება.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოში შემონახულია ღვინის დაყენების, დაწურვის, შენახვის ტრადიციული მეთოდები და შემთხვევითი არ არის, რომ ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიციულ მეთოდს იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

მთავრობის მეთაურმა ალნიშნა, რომ ღვინის პოპულარიზაციისა და დივერსიფიკაციის ხელშემწყბი ღონისძიებების

გაატესტირების შედეგად ღვინის ექსპორტი გაიზარდა ყაზახეთში – 68%-ით, პოლონეთში – 85%-ით, ჩინეთში – 107%-ით, ლატვიაში – 50%-ით, ესტონეთში – 35%-ით, დიდ ბრიტანეთში – 46%-ით, იაპონიაში – 110%-ით. პრემიერი განსაკუთრებით მიესალმა დელეგაციას ჩინეთიდან, რომელიც ამ ღლის აღსანიშნავად საქართველოში სპეციალურად ჩამოვიდა.

„ჩვენს პატარა მიწაზე ვაზის კულტურის 500-

წე მეტი სხვადასხვა სახეობა, სხვადასხვა ჯიში არსებობს და მინდა აქვე განასაკუთრებით აღვნიშნონ ბატონი ბიძინა ივანიშვილის წლილი. მისი დამსახურებაა, რომ მომავალ თაობებს შემოენახებათ 500-ზე მეტი ქართული სახეობის ვაზი. მან საგურამოში დააფუძნა ულტრათანამედროვე – ჯილდურას სანერგე მეურნეობა, სადაც რამდენიმე ათეული მილიონი ფლობრია ინვესტირებული, შექმნილია თანამედროვე ლაბორატორია და გაშენებულია 800-მდე სახეობის ვაზის უნიკალური ჯიში, მათ შორის 500-მდე ქართული და 300-მდე ევროპული ჯიშის ვაზი. ბატონმა ბიძინამ ეს მეურნეობა სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადმოსცა და მინდა, კიდევ ერთხელ მადლიერებით აღვნიშნონ ეს დიდი საქმე“ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებით, ასევე გამკაცრდა და კიდევ უფრო გამკაცრდება ღვინის ხარისხის კონტროლი, რათა ქართული ღვინო მაქსიმალურად იყოს დაცული ფალსიფიცირებისგან, რაც უაღრესად მნიშნელოვანი და სამური საქმეა.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ რაჭალებულების მისამართის რეგიონში რთველის დაწყებასთან დაკავშირებით რამდენიმე ღლის წინათ ბრიფინგი გამართა და ალნიშნა, რომ სახელმწიფო მნიშვნე (კონდიციურ) 1 კგ. ალექსანდროულსა და მუჯურეთულში 5 ლარს გადაიხდის. ფასი, რასაც სახელმწიფო კონდიციური ყურძნის შეძენაში სთავაზობს მევენახეებს გაცილებით მაღალია, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობის მოლოდინი იყო.

ჯიშმბრივი სიზუსტის დაცვის მიზნით, რთველის პროცესში ჩართულები იქნებიან ამპელოგრაფები. უკვე ფუნქციონირებს რთველის საორგანიზაციო შტაბიც.



# რას ფიქრობდა და წერდა ილია ჭავჭავაძე ჩვენს მედვინეობა- ევანესეობაზე 130 წლის წინათ

როცა ამპოპარ, ესა თუ ის ქვეყანა მდიდარია, ამით  
იმისი თქმა არ უდებათ, რომ ვითომ იმ ქვეყნის ერია  
მდიდარი, იმითომ, რომ შესაძლოა ერი მდიდარი იყოს და ამ  
სიმდიდრები თვითომ ქვეყანა, როგორც მომავას აღილს,  
არავითარი მონაცილეობა არა ჰქონდეს სიმირის გამო.

სიმდიდრეს ქვეყნისას შეადგენს  
ის ძალ-ლონებ ჰავისა და მიწისა,  
რომელიც შესაძლოდა ჰქიდის  
მოცემის მრავალგვარობას, და  
რამდენადაც ეს მრავალგვარობა  
დიდია, იმოდენად მდიდარია ქვეყანა.  
ამ საბუთით ამბობენ, რომ ჩვენი  
ქვეყანა მდიდარია, რადგანაც  
ჰავა და მიწა ბევრგვარს საგანს  
სიმდიდრისას იძლევა, თუ კაცი  
ცნობიერად ხელს მოჰკიდებს და  
ცოდნით და ხერხინად გაირჯება.  
ჩვენი ქვეყანა, მაგალითებრ, ლვინოს  
და კარგი თვისების ლვინოსაც  
იძლევა სხვათა შორის. ამ მხრით,  
იგი მდიდარია იმ ქვეყნებზეც, საცა  
ვაზი გამო ჰავისა ვერა ჰქიორობს.  
ეს ხომ ესეა, მაგრამ ერთი საოცარი  
ამბავი უნდა შევნიშნოთ. ჩვენ  
არაერთხელ გაგვიგონია ჩვენის  
ყურით გულისხმიერ შინაურ  
კაცთაგან, რომ გლეხობა აქ არის  
ჩვენში ღარიბი და ყელთამდე  
ვალში ჩაცვინული, საცა ვენახობა  
და, მაშასადამე, ლვინის კეთება  
გახშირებულია და საცა გლეხკაცობა  
ამ ვენახობაზეც არის უფრო მეტად  
თავდადებულიო. პირიქით, საცა  
გლეხობა მარტო ხვნა-თესვას  
მისდევს, იქ კი გლეხნი უფრო  
შემძლებელნი და უვალონი არიანო.  
ხშირად ამის დასამტკიცებლად  
თვითონ სოფლებიც დაუსახელებიათ  
და ამ სოფლების მცოდნე კაცებს  
უთქვამთ, რომ ამ დასახელებულ  
სოფლებში მართლა ეგრეა გლეხთა  
მდგომარეობაო. ჩვენც თვითონ  
გამოგვიძებია ეს საოცარი  
ამბავი ჩვენს ახლო-მხლო  
თვითონ-ოროლა სოფლებში და,  
ჩვენდა სამწუხაროდ, გამოძიებას  
არც ერთგან არ გაუმტყუნებია  
ზემოხსენებული ნათვალევი შინაურ  
კაცებისა: ყველგან, საცა თვალი  
მიგვინვდენია, გამოსულა, რომ

გლეხობა იქ უფრო შეძლებულია  
და უვალო, საცა ვენახები ან სულ  
არა აქვთ, ან ძალიან ცოტა და საცა  
უფრო ხვნა-თესვაა, ვიდრე სხვა  
რამ მინათმოქმედება. ეს ისეთი  
დაუჯერებელი ამბავია პირველი  
შეხედვით, რომ ჩვენს თვალსაც არ  
ვუჯერებდით და გულში ვამბობდით,  
თვითონ-ოროლა სოფლის მაგალითი  
ჯერ კიდევ საბუთი არ არის,  
სიღარიბის მიზეზად ვიცნათ საგანი  
სიმდიდრისა, რომელსაც ღვინო  
ნარმოადგენს. მართალიც არის:

**როგორ დავიპაროთ, რომ ლვინო, ესა იგი,**  
**მომეთაგულება ცხარო სიმდიდრისამ, ერი**  
**გააღარიბოს. ეს მაღლის ცოდვად გადაქცევა,**  
**ლეინის შირად გარდაქმნა ჰაუზი როგორდაც არ**  
**ეფერებოდა.**  
**მოდის, ლოდიკა როგორდაც ვერ ითვისეას, ვერ**  
**იცხარის; ამ უნდა სხვა რამ მიზანი იყოს და ამ**  
**მიზანის გამორკვევა მისად საინიერის გახდა**  
**ჩვენთვისა.**

დრო გადიოდა და ჩვენ შევიტყვეთ,  
რომ ერთი დიდი მემამულე,  
რომელსაც ორასის დღის ვენახი  
აქვს გადაჭიმული ერთს ადგილას,  
ნებას არ აძლევს გლეხობას მის  
მამულში ვენახი აიშენოს სწორედ  
იმ მიზეზით, რომ ჩემი გლეხობაო,  
რომელიც ხელა მარტო ხვნა-თესვას  
მისდევს და ცოტად თუ ბევრად  
წელმაგარია, გალარიბდება, რაკი  
ვენახის დავიდარაბას აიკვიათებსო.  
ჩვენ ვიცნობდით ამ მემამულეს და  
საინტერესოდ გაგვიხდა მისგან  
ამ საგანზეც შეგვეტყო რამე. მან  
გვითხრა, რომ სწორედ ეგრე ვიქცევი  
ჩემს მამულში და ჩემისთან უვალო  
და შეძლებული გლეხობა ბევრს არ  
უსახლიაო. ჩემს გვერდით ჩემიბას  
ერთი პატარა სოფელი დაშენდა  
სახელმწიფო მამულზედაო და  
როცა ამ პატარა სოფლის გლეხთა  
ვენახების გაშენება დააპირეს, ბევრი



ვურჩიეო, თუ თავის დაღუპვა არ  
გინდათ, ვენახებს თავი დაანებეთ,  
მარტო ხვნა-თესვას მიჰყევითო. არ  
დამიჯერეს და ეხლა ჰანობენო,  
ყელთამდევ ვალებში არიან, და ჩემი  
გლეხები კი იმოდენად კარგად არიან,  
რომ ისინი ამათ შეპნატრიანო.

დღესაც იმ ადგილებში გარშემო  
ვენახები აქვს გლეხობას და მარტო  
შუაღული მამულია ხსენებულ

მემამულისა, საცა არც ერთს  
გლეხს ვენახი არა აქვს და არც  
ნდომობს, რომ იქონიოს. ჩვენ ეს  
ამბავი სულ სხვა

მიზეზს მივაწერეთ,  
რადგანაც ლოლიკას  
როგორდაც არ

ეფერებოდა.

ჩვენ გვეგონა,  
რომ რადგანაც  
ხსენებულს  
მემამულეს სულ

სხვა ხიზნები ჰყავს

თავის მამულში, ამ მიზეზით ნება  
არ მიუცია ვენახების გაშენებისა,  
რომ მკვიდრად ფეხი არ მოიკიდონ  
მამულში და მერე სადავიდარაბოდ  
არ გაიხადოს საქმე. ამის გამო სულ  
სხვა მიზეზი შევნამეთ და არა ის,  
რასაც იგი გვაუწყებდა. ეხლა კი ეს  
საოცარი ამბავი სხვა მხრიდამაც  
ჰმართლდება. ხომ მოგეხსენებათ,  
რომ სახელმწიფო ქონებათა  
სამინისტროს წარმომადგენელმა  
ჩვენში ბ-ნმა ტიხიევმა რჩეულნი  
მოხელენი გაჰკვეთა ზავნა სხვადასხვა  
ადგილას ჩვენში სახელმწიფო  
გლეხთა ეკონომიურის  
ყოფაცხოვრების გამოსაძიებლად.  
ამათგან ერთმა, ბ-ნმა არღუთინსკიმ,  
გამოიძია თელავისა და სიღნაღის  
მაზრის გლეხობის ყოფა-ცხოვრება  
და როგორც ეტყობა საბუთიანადაც,  
და იმასაც, წარმოიდგინეთ, იგივე  
შეუნიშნავს შესახებ იმ გლეხებისა,



რომელიც მევენახეობას უფრო მისდევენ. იგი ამბობს, რომ საცა გლეხობა ვენახობას აჰყოლია ამ ორს მაზრაში, ნამეტნავად თელავისაში, იქ გლეხობა ვალშია, ღარიბია და სახელმწიფო გადასახადის დარჩენილი ფულაც იქ მეტია, ვიდრე სხვაგანაო, ამის დასამტკიცებლად საბუთებიც მოჰყავს საკმაოდ შესაწყნარებელი. რაკი ამ მხრითაც შემონმებულია დღეს ის დაუჯერებელი ამბავი, რომელიც ნინად მოვისხენიერ, არ შეიძლება კაცმა ყურადღება არ მიაქციოს და მის ვითარებას არ ჩაუკვირდეს, როგორ გადაექცევა ჩვენს გლეხობას ერთი კაი მოზრდილი წყარო სიმდიდრისა სიღარიბის სათავედ, ამის გამოძიება და გამორკევა მეტისმეტად საინტერესოა და ჩვენს ამ საგანს ჩვენის შეძლებისამებრ გამოვიკვლევთ.

**ცალკე ის მოცოდებანი, რო პველგან, საცა გლეხეაცოგა მისდევს ვენახის კათებასა, გლეხინ სიღარიბეში პრიან და ვალებით დამდინარეული, ცალკე ის უავველი აგგავი, რომ ვენახია თანდათა ჰეთულობენ და მრავლდებიან ძართლ-კახეთიში და აგ უკანასკელ დროს უფრო ძართლ-ზოგი, – როს ერთგანეთის შეუცვრებელს და შეუცხადობელს მოვლენას წარმოგვიდგინება თუ ვენახითა ჰეთარიბეგიან გლეხი, რაღაც მრავლდება ვენახები და თუ ვენახები მრავლდება, რაღაც ჰიმიზეს სახელი მოცოდებანი?**

ვენახების გამრავლება ხომ ანგარიშზეა დამოკიდებული და თუ ვენახები ანგარიშში არ მოდის, თავს ტყუილად ვინ გაიცივებდა იმის გასამრავლებლად, რაც

ხეირის მაგიერ მარტო ზიანისა და ზარალის მომტანია. ჩვენა გვეონია, რომ ამ ერთმანეთის დამლევს და შემუსვრელს ამბავის მიზეზს მივუხვდებით, თუ თვალწინ ნამოყვიერებთ იმ ეკონომიკურს ძალის, რომელიც გლეხეაცობას ვენახის გასაშენებლად აიძულებს. ვენახი თუ ამინდი ხელს უწყობს და წელინადი კარგი შეხვდა, დიდალს მოგებას იძლევა. მაგალითებრ, ბ-ნ არღუთინსკის გამოძიებით გამოდის, რომ თელავის მაზრაში დღიურს ვენახებდ იხარჯება წელინადში 34 მანათი და შემოსავალი კი ორთა შეუა მოსავლისა იძლევა 110 მანათსა, ასე, რომ დღიურზედ წმინდა მოგება რჩება 76 მანათი. ხვნა-თესვა კი იმავ მხარეს იძლევა წმინდა შემოსავალს დღიურზედ 10 მანათსა და ორს აბაზსა, რადგანაც ბ-ნ არღუთინსკის გამოყანილი აქვს ხვნა-თესვის ხარჯი დღიურზედ 14 მანათი და ორი შაური და შემოსავალი 24 მანათი და ათი შაური, ისიც მაშინ, თუ პურია დათესილი. სხვა მარცვლეულობა კი, მაგალითებრ, ქერი, სულ ითხს მანათს და ექვს შაურს წმინდა მოგებას იძლევა და სიმინდი მარტო სამს მანათს და ათ შაურსა. რაკი ხალხის გამრავლება ცოტად თუ ბევრად ყოველწლივ წინ მიდის და ამის გამო სახნავ-სათესი მინები აღარ ჰყოფნის ხალხსა, რა თქმა უნდა, სახნავსათესი მინა იმისთანა სამუშავოდ უნდა აქციოს, რომელიც ხვნა-თესვაზედ უფრო დიდს შემოსავალს იძლევა, რადგანაც ბარად ჩვენის ქვეყნის მომეტებულ ნაწილში ყურძენი ჰეთერობს და ვენახობა შესაძლებელია, და რადგანაც ვენახი თითქმის ერთიშვიდად მეტს იძლევა ვიდრე სახნავ-სათესი, აშკარაა, ვენახად ქცეული სახნავ-სათესი

ერთიშვიდად მეტს სარჩოს მოიტანს; ამ სახით, ანგარიში თვალნათლად აჩვენებს გლეხეაცსა, რომ იგი ტანი მიწა, რომელიც ხვნა-თესვით საკმაო სარჩოს არ იძლეოდა, ვენახებით კი გაუძლვება მისის რჩენის საჭიროებასა. ამაში უნდა მოიპოვებოდეს მიზეზი ვენახების გამრავლებისა ჩვენში. ამაშივე უნდა მოიჩრიებოდეს მიზეზი გლეხის გაღარიბებისა და ვალში ჩაგრძნისა, თუ ერთიც და მეორეც მართალია და არა მოჩვენებული ღრმად ჩაუხედავობისაგან. ხვნა-თესვა იმისთანა რამ არის, რომ თუმცაც ცოტას იძლევა, მაგრამ რასაც იძლევა, უფრო საიმედოა და მშრომელს უფრო ნაკლებ გაუმტყუნდება ხოლმე. ხვნა-თესვის მოსავალს იმდენი განსაცდელი, ფათერაკი არა სდევს, რამდენიც ვენახისას. გარდა ამისა, რომ სულაც მოუცდეს გლეხეაცსა, უფრო ადვილად ასატანია, ვიდრე ვენახის მოსავალის მოცდენა იმიტომ, რომ პირველს შემთხვევაში 14 მანათი ეკარგება და მეორეში კი 34 მანათი, თუ ბ-ნ არღუთინსკის ციფრებს მივიღებთ საანგარიშოდ ეგ ციფრები მით უფრო სარწმუნონი არიან, რომ საკმაოდ ახლო არიან მართალ ციფრებზედ. იმას აღარ ვიტყვით, რომ ხვნა-თესვის მოსავალის ხელადებით მოცდენა ძნელი და იშვიათი შემთხვევაა, ვენახისა კი უფრო ადვილია და ხშირი, ჯერ მარტო იმ მიზეზით, რომ ხვნა-თესვის მოსავალზედ კარგად ვითან მოდის მოსავალი ვენახისა და, მაშასადამე, ამინდის ცვლილებისა თუ სხვა განსაცდელის ქვეშ უფრო დიდხანს იმყოფება. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო სეტყვა ავილოთ. ხვნა-თესვის მოსავალი მარტო მყათათვის დამლევამდეა სიტყვის შიძქვეშ და ვენახისა კი თითქმის ღვინობისთვემდე და ამ ხნის მანძილზედ ვინ იცის, რა არ დაემართოს ვენახსა, კაცზედ დამოუკიდებელ მიზეზის გამო. ერთის მხრით, დიდს შემოსავალის იმედი, რომელსაც ვენახი იძლევა და რომელიც ცოტად თუ ბევრად საბუთიანია და დიდს ხარჯს ანგვენებს, და მეორეს მხრით, ის მრავალგვარი განსაცდელი, რომელიც თან სდევს ვენახის მოსავალსა და ხშირად ვენახის პატრონს ყველაფერზედ ხელს აბანინებს, უნდა ცნობილ იქმნას იმის მიზეზად, რომ ვენახის მიმდევარი გლეხი შეძლებით უფრო ულონოა, ვიდრე

ხვნა-თესვის ამყოლი. ვენახს იმოდენა ხარჯი და მოვლა უნდა, რომ ერთი წელინადი მოუცდეს გლეხსა, გლეხი უეჭველად ვალში უნდა ჩაიფლას, და ვალიც იმისთანა მძიმე პირობისაა, რომ ერთხელ ჩაფლული ძნელად თუღა იხსნის ვალისაგან თავსა. ჩვენ მოვიყენეთ ბ-ნ არღუთინსკის მიერ გამოიძიებული რაოდენობა ხარჯისა ერთის დღიურის ვენახის გასაკეთებლად, მართალზე ძალიან ახლოს. ამ ციფირისაგან სჩანს, რომ ერთის დღიურის ვენახის პატრონს ვენახზედ იხარჯება 34 მანათი. ვენახი რომ მოუცდეს და 34 მანათი ვალად დაედვას ერთის დღიურის ვენახის პატრონს გლეხსა, როგორდა დაიღწევს ამ ვალისაგან თავსა. რადგანაც ვენახი დიდი შემოსავალის იმედს იძლევა და რადგანაც წინდაუხედავობა, რომელიც ჩვენს ზნეს შეადგენს, მარტო კარგს გვაფიქრებინებს ხოლმე და ათასარს განსაცდელს გვავიწყებინებს, ამიტომაც გლეხს გული უფრო ხალვათი აქვს ვალის აღებისათვის: ერთი მოსავალი მომივა და ვალსაც ერთბამად გავუძღვები და ვახშაცაო, იგი მართალია. ამ ერთის კარგის მოსავლის მოლოდინითა, მაგრამ ხშირად ლოდინი ლოდინად პრჩება და გულხალვათად აღებული ვალი თავის ზედნადებით ზედ ეკეცება და რამოდენადაც იმედგამტყუვნებული მოსავალი ვენახისა აკლდება, იმოდენად, თუ არ მეტად, ჰმატულობს ერთხელ აღებული ვალიცა. გარდა ამისა, თვითონ იგი სოფლის წურბელაც, რომელიც მარტო ფულის ბლარტობითა ჰქცევორობს და ქვეყანას იმის მეტი მისგან არა ემუნათება რა, იგიც ვენახის იმედით უფრო იძლევა ფულს ვალადა. იგი ფულის სასესხებლად მოსულს კაცს ყველაზედ უწინარეს იმასა ჰკითხავს ხოლმე: ვენახი გაქვსო და თუ აქვს, ამისთანისათვის ფულს სასესხებლად უფრო ადვილად იმეტებს. რადგანაც ფულის პატრონი წინდახებული და ანგარიშიანი კაცია, იმან კარგად იცის, ვენახი რა განსაცდელიანი ქონებაა; კარგად იცის, რომ თუ წელინადი ემარჯვა, დიდს ღონეს აძლევს გლეხაცსა, და თუ არა, ფული შესაძლოა დიდ ხანს დაებანდოს და გაებას. ცალკე ამ იმედიანის სიხარბით, ცალკე ფულის დიდხანს დაბანდების შიშით, იმოდენა სარგებელს დაუდებს ხოლმე პირობად, რომ კაცი ჰკვირობს, საღის ჭკუის პატრონი ამ

სარგებელს როგორა ჰკისრულობსო. ხოლო გაჭირებულს გლეხეაცს სარგებლის სიღიდეს და სიმძიმეს უსუბუქებს და საადვილოდ უხდის ისევ ის იმედი ვენახის მოვლისა. ეხლა კი სული მოვიპრუნო, ხელი მოვინაცვლო, ამბობს გულში, და ღმერთი მოწყალეა, სამერმისოდ ვენახი იმოდენას მომცემს, რომ ამასაც წარპეტერლად გავრცდეო. აკი, ვსთევით, გლეხეაცს ვენახის იმედით გული ხალვათი აქვს, და ეს იმედი მით უფრო ადვილად ჭკუაში მოსავლელია, რომ ვენახი ბურებითად დიდის მოსავლის შემძლებელია, დიდის მოგების მომცემია, თუკი ამინდი დაუდგა და განსაცდელს გადურჩა. ეს იმედი, უანგარიშიდ გაძლიერებული, წაიცდენს ხოლმე გლეხეაცობას, ცალკე ვალის აღების გზას უხსნის და ცალკე ვალის შიშს უკლავს, მაშინ, როდესაც უამისოდ გლეხეაცი ერთობ მეტად უფრთხის და ერიდება ვალის აღებასა. ამ სახით, სამი მიზეზი ერთად მოქმედობს, ჩვენის ფიქრით, თუ მართლა ვენახის მიმდევარი გლეხეაცი უფრო ვალში ჩაფლულია, უფრო შეუძლებელია, ვიდრე ხვნა-მთესეველი, რომელიც უფრო ცოტაზედ, მაგრამ უფრო წაკლებ განსაცდელიანს და უფრო დიდად საიმედო მოსავალზედ დაძყარებულია. ერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ვენახის კეთების ხარჯი იმოდენაა, რომ თუ ვინიცობაა მოსავალი მოსცდა, გლეხი უვალოდ ამ ხარჯს ვერ გადურჩება; მეორე ისა, რომ დიდი მოგება ვენახისა ვალის შიშს უფრთხობს გლეხსა და ძნელად საკისრებელს ადვილად კისრად

აღებინებს; მესამე ისა, რომ იგივ დიდი მოგება ვენახისა ფულის პატრონს უფრო ადვილად ამეტებინებს სასესხებლად ფულსა ვენახის პატრონისათვის. ხოლო ყოველსაც ამ მიზეზს და ვენახის პატრონების ლარიბად ყოფნას მაშინა აქვს ადგილი, როცა დამტკიცებული იქნება, რომ რიგიანი მოსავალი ვენახისა ძალიან იშვიათა ჩვენში და ნაკლები \_ ხშირი. გლეხის ჩაფლვა ვალში და ვეღარ ამოსვლა ადვილად წარმოსადგენია მარტო ამ შემთხვევაში. ნუთუ ჩვენში უმოსავლობა ვენახისა სჭარბობს მოსავლიანობას? თუ მართლა დასაჯერია ის ამბავი, რომ გლეხეაცობა, ვენახების მიმდევარი, უფრო ლარიბია ხვნა თესვის მიმდევარზედ, უეჭველად ესეც უნდა დავიჯეროთ. ჩვენ მაინც კიდევ საეჭვოდ მიგვაჩნია ეს შინაურ მოსაქმე კაცთაგან შენიშნული და მთავრობის მოხელის მიერ შემოწმებული ამბავი. კარგი იქნებოდა, რომ სოფლად მცხოვრებმა მიხვედრილმა კაცმა თვალი დააკვირვოს ამ საოცარს ამბავს და თვისი აზრი ამ საგნის შესახებ გაგვიზიაროს. ეს მეტისმეტად საინტერესო საქმე იმად ჰლირს, რომ კაცმა ჯაფა გასწიოს და ზედმინევნით გამოიძიოს.

**გართლადა, როგორ არ უნდა**  
ეოცოს კაცსა, რომ ადამიანს გეტი სახსარი ჰპონდეს თავის რჩევისა და ის გეტი შირად გადაპეპვოდეს, ანუ უკედ ვსიმპათ, სიმღიდრე სიღიპიპის მიზანად გახდომოდეს.

**ილია ჭავჭავაძე, გაზ. „ივერია“, თბილისი, 1887 წელი, 23-24 ივნისი**





## პირმავანახეობას და მისი ძირითადი პრიცენაბი

პირმავანახეობის ოფიციალურ მიმართულებას ჩვენში დიდი ხნის ისტორია არა აქვს. შესაბამისად ეს დარგი ერთგვარი სიახლეა, მიუხედავად იმისა, რომ მიმართულების პირველი მიმღევრები დაახლოებით 15 წლის წინ გამოჩდეთ. ამ დროიდან მოყოლებული, პირმავანახეობის პრიცენაზე თანდათან დაიხვდეთ და იგი გეო-ნაკლებად მიესადაგა საქართველოში არსებულ სიტუაციას.

აღნიშნული დროიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბდა პირველი მასერტიფიცირებელი ორგანო და აქედან გამომდინარე, მევენახეობის ამ მიმართულების მიმდევრებს საშუალება მიეცათ, ურთიერთობა პერიოდით არა მხოლოდ საკონსულტაციო სამსახურთან, არამედ ბიოსერტიფიკაციის გამცემ მაკონტროლებელ ორგანოსთანაც. მართალია, ჯერხნობით საქართველოში ბიოსერტიფიკაციის მფლობელი სულ თხუთმეტიოდე მევენახე-მედვინეა, მაგრამ მიმართულება სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. უნდა აღნიშნოს, რომ დარგის მიმდევრებს თავდაპირველად საკმაოდ სერიოზულ პრობლემებთან მოუხდათ შეხება. ძირითადად ეს გახდათ ბიოპრეპარატების არარსებობა, ან მათი უხარისხობა და ფალსიფიკაცია... თუმცა დარგის მიმართულების პოპულარიზაციამ თავისი გააკეთა და დღეისათვის ბაზარზე უკვე არსებობს თითქმის ყველა ის ბიოპრეპარატი, რითაც ხდება მევენახეობის მავნებლებისა თუ დაავადებების კონტროლი და მათთან ბრძოლა.

ბიოვენახად მიჩნეულია ისეთი ვენახი, სადაც არ გამოიყენება როგორც სისტემური და ძლიერმოქმედი შხამები, ისე ჰერბიციდები და მინერალური სასუქებიც. შესაბამისად, მათს ალტერნატივას წარმოადგენს ბიოპრეპარატები; ბიოსასუქები; ბიომეთოდები და აგრონესების რიგი, რითაც ხდება ბიომევენახეობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა. უნდა ითქვას, რომ ბიოპრეპარატებით წამლობა შედარებით მეტ რისკებთანაა დაკავშირებული, რადგან კონტაქტური პრეპარატები სისტემურ შხამქიმიკატებთან შედარებით სუსტია. ამასთან დიდია ასეთი პრეპარატების წვიმით ჩამორეცხვის რისკიც. მაგალითად, თუ რომელიმე კონტაქტური პრეპარატები ჩატარებული წამლობის დროს მაღლევე მოვიდა მინიმუმ 20 მმ. ნალექი, ასეთ შემთხვევაში ბიოპრეპარატი ჩამორეცხვილად მიიჩნევა. ბაზარზე არსებული იმ ბიოპრეპარატების უმეტესობა, რომლებიც გამოიყენება ვაზის ჭრაქისა და სიდამპლეების

წინააღმდეგ, სპილენძის შემცველია. ამ პრეპარატების გამოყენება ბიომევენახეობაში გარკვეულწილად ლიმიტირებულია. მიღებულია, რომ ვეგეტაციის პერიოდში ერთ ჰერცარ ვენახში სუფთა სპილენძი 6 კილოგრამზე მეტი არ უნდა შევიდეს, რაც მეტ-ნაკლებად როგორია, თუმცა საქმის ცოდნით ეს ყოველივე სრულად შესაძლებელია! ამისათვის მევენახემ უნდა გაარკვიოს, თუ რამდენ გრამ სუფთა სპილენძს შეიცავს ესა თუ ის სპილენძის შემცველი პრეპარატი და ამის მიხედვით გამოთვალის წამლობის რაოდენობა და პრეპარატის დოზირება.

ბიომევენახეობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ის, რომ მეურნემ მაქსიმალურად შეინარჩუნოს ნიადაგის ნაყოფიერება, რაც უპირატესად მიიღებვა ორგანული სასუქების, სხვადასხვა სახის კომპოსტების შეტანით, ნიადაგის მულჩირების, სიდერაციის გამოყენებით და პარკოსანი კულტურების შეთესვით. ცხადია, ყველაფერი სავენახე ნიადაგის შერჩევით იწყება. ვაზი ყველანაირ ნიადაგზე ხარობს, მაგრამ საუკეთესო მოსავალს ვენაზი ყველგან როდი იძლევა. ამ მხრივ, საქართველოს ვენახებში, რომელთა საერთო ფართობიც დღეს დაახლოებით 35-40 ათასი ჰერცარია, ნამდვილად არასახარბიელო მდგომარეობაა! ვენახის გასაშენებელი ნიადაგი მევენახემ ძირებულად უნდა გამოიყვლის ლაბორატორიულად და ვაზი ამა თუ იმ ადგილას მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გააშენოს. ჩვენს წინაპრებს, ცხადია სავენახე ნიადაგები ლაბორატორიულად არ ჰქონდათ შესწავლილი, მაგრამ მათ ძალზედ კარგად იცოდნენ, თუ რა ნიადაგმა როგორი ღვინო იცოდა; რა წინადაგზე რომელი კულტურა უფრო ამართლებდა და სხვ. ამ ყოველივეზე, ადგილზე გავრცელებული მცენარეული საფარიც მეტყველებს. ცნობილია, რომ ადგილი, სადაც, მაგალითად ხარობს ძეგვი, სავენახედ კარგია და ა.შ. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ნარკვევი – „ღვინის ქართულად დაყენება“ (თბილისი, 1887 წ), რომელიც ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს. ხსენებული ნარკვევით დაინტერესებული მეტოხები მასში ბევრ საინტერესო ინფორმაციას ამოიკითხავს, როგორც მევენახეობის, ისე მეღვინეობის საკითხებში. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ილიასეული ეს ნარკვევი ეძღვნება არა ინდუსტრიულ, არამედ მევენახეობა-მედვინეობის სწორედ ბიო – „ბუნებურ“ მიმართულებას. როგორც ითქვა ბიომევენახეობა არის სოფლის მეურნეობის ის მიმართულება, რომელიც არ გამოიყენებს ძლიერმოქმედ და სისტემურ შხამქიმიკატებს, ჰერბიციდებსა და მინერალურ სასუქებს. აქედან გამომდინარე, საბოლოო პროდუქტი

- ყურძენი არის ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო და „ცოცხალი“ პროდუქტი, რომლისგანაც მიიღება ძვირფასი ლინო, რომელიც ინდუსტრიული ლინოების უმეტესობისაგან განსხვავებით ძვირფასი სასმელია. საქართველოში ბიომევენახეობის მიმართულების განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს და უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ეხება არა მხოლოდ მევენახეობა-მეღვინეობას, არამედ სოფლის მეურნეობის ყოველ დარგს, რასაც მართებულად გამოყენება ესაჭიროება. ამ ყოველივეში ჩვენმა ხელისუფლებამაც უნდა შეიტანოს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი. ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს მასობრივ, თუ ინდუსტრიულ წარმოებაში ვერასოდეს გაეჯიბრება და ასეც რომ მოხდეს, ჩვენ ამამი უთუოდ დაგმარცხდებით! ამიტომ ჩვენი შანსი, რომ დავაკმაყოფილოთ შიდა ბაზარი და პროდუქციის გარკვეული ნანილი გავიტანოთ უცხოეთის ბაზარზეც, ბიოწარმოების შემთხვევაში ერთიათად იზრდება, რაც, მართალია მცირებნიანმა, მაგრამ უტყუარმა პრაქტიკამ არაერთხელ აჩვენა.

ასევე საკმაოდ აქტუალური საგანია და დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ გარემოშია გაშენებული ვენახი, რასაც არც თუ იშვიათად ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა. ეს ტენდენცია მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ დაინყო გასული საუკუნის 70-იან – 80-იან წლებში, მაშინ, როდესაც საქართველოს მევენახეობამ მცდარი, ინდუსტრიული მიმართულება მიიღო, რის დროსაც ყურადღება არ ეთმობოდა არც ზემოთხსენებულ საკითხებს და არც სავენახე ნიადაგების შერჩევას. გარემოს, თუ სადაც გაშენებული ვაზი, როგორც აღინიშნა დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაში ყველაზე მეტადაა გასათვალისწინებული ვენახთან საავტომობილო მაგისტრალის, რომელიმე ქიმიური ქარხნის, მაღალი ძაბვის დენის სადენების, ნაგავსაყრელისა თუ სხვა რისკის შემცველი ობიექტების სიახლოეს. მეტ-ნაკლებად შევეხოთ ჩამოთვლილ საკითხებს.

ბიოვენახის მდებარეობა საავტომობილო მაგისტრალის მახლობლად დაუშვებელია, არსებობს კიდეც საერთაშორისო წესები, რის მხედვითაც ვენახისა და საავტომობილო მაგისტრალის დაშორება რეგულირდება. ჩვენი ქვეყნის მაგალითის შემთხვევაში სასურველია, თუ ბიოვენახი მთავარი საავტომობილო მაგისტრალისაგან დაშორებული იქნება დაახლოებით 100 მეტრით მაინც. თუმცა ეს მანძილი მეორეხარისხოვანი გზების შემთხვევაში შესაძლოა იყოს 30-50 მეტრი. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ვენახის სიახლოეს არ იყოს ქიმიური, ან სხვა სახის რომელიმე ქარხანა (მაგ., ცემენტის და სხვ.), საიდანაც გარემოსაც და ვენახსაც ეფინება ქარხნის გამონაბოლქვი. ამგვარი ვენახი, რაგინდ ზედმინევნითაც იყოს იქ ყოველი სხვა ოპერაცია და წესი დაცული, ბიოვენახად არ ჩაითვლება. შესაძლოა, ამგვარი ქარხნები იმ გამდინარე წყალსაც აპინძურებდეს, რომლითაც ვენახი ირწყვება, რაც ასევე დაუშვებელია!

მართალია, ბიომევენახეობის წესები ვენახთან ახლოს მდებარე მაღალი ძაბვის დენის მაგისტრალების არსებობას არ კრძალავს, მაგრამ, ეს გარემოება ძალზედ ცუდად აისახება თავად ყურძნისა და ლინის სარისხზეც კი, რადგან ვენახთან არსებული მაღალი ძაბვის რეანის კონსტრუქციული ანძები ვენახს სტრესულ მდგომარეობაში ამყოფებს, თანაც მუდმივად. ასეთი მაღალი ძაბვის სადენის ქვეშ გაჩერება, თუნდაც მცირედი ხნით ადამიანისთვისაც არ არის რეკომენდებული. უცხოეთის გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, ნატურალური მეღვინეობის მიმართულების შემთხვევ-

ვაში ვენახისა და მაღალი ძაბვის დენის ანძების დაშორება უნდა იყოს მინიმუმ 300 მეტრი, რაც ჩვენს სინამდვილეში უმეტესწილად დარღვეულია და ხშირად ვაზი პირდაპირ მაღალი ძაბვის საფენების ქვეშა გაშენებული.

ერთ-ერთი პრობლემა, რაც ბიომევენახეობის წინაშე დგას, ესაა ნაგავსაყრელები, ან ქიმიური ნივთიერებების ნარჩენების საწყობები, თუ მათი საუტილიზაციო ადგილები. მართალია, ამ უკანასკნელ საკითხს ხშირი ხასათი არა აქვს, მაგრამ, ვინაიდან ასეთი შემთხვევები პრაქტიკული მაინც გვხვდება, ორი სიტყვით ვახსენებთ იმას, რომ ნაგავსაყრელისა და, მეტადრე ქიმიური ნარჩენების საწყობის სიახლოეს ბიოვენახი არ უნდა გაშენდეს. რისკი ამ შემთხვევაში ორმხრივია, რადგანაც ვენახი შესაძლოა ქიმიური ნარჩენებით დაბინძურდეს და მეორე, დიდი რისკია, რომ ნაგავსაყრელის სიახლოეს ემოციურ თვისებებზეც იმოქმედოს უარყოფითად, რის პრაქტიკული მაგალითებიც მრავლადაა. ამრიგად, როგორც უკვე აღინიშნა, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ გარემოში ხარობს ვაზი.

ბევრი ფაქტორიდან გამომდინარე, ყურძნისა და ლინის ხარისხი ძალიან ბევრ, ერთი შეხედვით წვრილმან დეტალზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ ეს წვრილმანი დეტალები თავის დროზე უნდა იქნეს გათვალისწინებული. იმ წესთა დაცვა, რომლებიც ძირითადად ჰიგიენას უკავშირდება, საბოლოოდ დიდ გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის ხარისხზე და პირიქით, რიგ წესთა უგულებელყოფა აუცილებლად უარყოფითად აისახება ლინის ხარისხზე. ის, რომ ვაზი არ უნდა ჩაიყაროს ისეთ ადგილზე, სადაც გრუნტის წყალი ნიადაგის ზედაპირთან ძალიან ახლოს, მაგალითად, 1-1,5 მეტრშია, ან ისეთ ადგილს, სადაც სავენახე ფართობი უშუალოდ უღრან ტყეს ესაზღვრება, ელემენტარული წესებია. დავამატებთ ერთსაც, რომ უძველესი ნავენახარი ადგილები, რომლებიც ასე მრავლადა ჩვენში და რაზეც ადგილობრივი ტოპონიმიკაც მეტყველებს (ნავაზარი, ნავაზი, ვაზიანა, ნაზვრევი, ნავენახევი, ზვარი, ბერების ზვრები, დედოფლის ზვრები და სხვ.) საუკეთესოდა შერჩეული ჩვენი წინაპრების მიერ და ძველთაგანვე განთქმული მევენახეობის ხსნებული ადგილები აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში საოცრად შეესატყვისება ვაზის კულტურას, რადგან ვენახის გაშენებას ჩვენი წინაპრების მხრიდან წინ უძღლდა ნიადაგისა და ვაზის ჯიშების შეხამება და, საერთოდ, გარემო პირობების ძირეული შესწავლა.

**გორგაზ გარისაშვილი,  
მცხეთა, 2015 წ.**





# თბილისი | ლანდნი ქარხანა

ଠକୁଣ୍ଡରଶ୍ମୀ, କ୍ଷାଣ୍ଡ  
କ୍ଷାତରିକାତ୍ମକୁଣ୍ଡରିସା ଏବଂ କ୍ଷାତରୀ  
କ୍ଷାଲୀପିକାତ୍ମକୁଣ୍ଡରିସ କ୍ଷାରିଗଠିଲେ  
କ୍ଷାଲାକାଵ୍ୟାତାଖୀର, କ୍ଷାତିକୋଣୀ, କ୍ଷାନ୍ତରିଲେ  
ନେୟିକାରୀଙ୍କ କ୍ଷାନ୍ତରିକାରମ୍ବାଦୀରେ, କ୍ଷାନ୍ତରିକାରମ୍ବାଦୀ  
କ୍ଷାନ୍ତରିକାରମ୍ବାଦୀ କ୍ଷାନ୍ତରିକାରମ୍ବାଦୀ କ୍ଷାନ୍ତରିକାରମ୍ବାଦୀ

ალექსანდრუ სასმელების მცირე  
ჩამონათვალი ასე გამოიყურება:  
1700 დასახელების-სუფრის, მაგარი  
და სადესერტო ღვინოები, არაყი,  
ლიქიორი, შამპანური და კონიაკი.  
აქ არის 1790 წლის ჩამოსხმის  
პოლონური ლიქიორი, 1806 წლის  
უნგრული ღვინო, 1811 წლის  
ჩამოსხმის ნაპოლეონის სარდაფის  
კონიაკი, ძველი აფრიკული ღვინოები  
– 1747 წლისა და არაყი – 1717  
წლის, „ნინანდალი“ – 1899 წლისა,  
„ნაფარეული“ – 1909 წლისა, „მწვანე“  
– 1938-39 წლისა, „ცოლიკოური“  
– 1939 წლისა, „ნინანდალი“  
(წითელი) – 1893 წლისა, „მუკუზანი“  
(წითელი) – 1893 წლისა და სხვ. 320  
უცხოურიდასახელებს ღვინის:  
„შატო-ლაფიტი“ – 1775 წ., „შატო-  
ლატური“ – 1878., 1905., 1907წლები,  
„შატო-იკემი“ – 1851 წლი და სხვ.

ଓଡ଼ିଆକେବା

## ପ୍ରାଚୀକିତ ତିର୍ଯ୍ୟାନିକ ଶାଖାଙ୍କର ମହାନ୍ତି - ରଥପାତାଳ ଦ୍ୱାରା ଉପରେ

უკველესი საღვინი ჟურნალი, რომელიც ასაკი 80 საუკუნის, ჩვენს ეროვნულ უზრუნველყოფის ძგინს; აგვია ძველობი, რომელთა ასაკი 3-5 ათასი წელია, ყველა ამ ეპოქას კვერცხის უორდა აპვს და რამდენიმე ათეული სანტიგონის დიავანტრის ბრძანებულ ძირზე დგას, ანუ ძველის ტრადიციული ძირი, დასაწყისიდან ათასლევაულების განვითარებაში, პროფესიული იყო და ის ყველა კულტურული დასაცავების უზრუნველყოფას.

ქვევრის ზომაში ზრდამ და ლინის დიდი ხნით შენახვის  
პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობამ ჩვენი  
ნინაპარი ქვევრის მიწაში ჩადგმის აუცილებლობამდე  
მიიყვანა. აქ კი თავი იჩინა, მიწაში ჩადგმული ქვევრის  
პოლომდე გაცლის პრობლემამ, ეს პრობლემა მათ,  
ქვევრის პრტყელი ძირის კონუსური ძირით შეცვლით  
გადაწყვიტეს. ქვევრის ძირის ეს სახეცვლილება  
დაახლოებით ძვლი წელთაღრიცხვის III-II საჯაროები

მოხდა და ასეთივე ძირიან ქვევრებს ვამზადებთ დღემდე. ასე რომ კონუსურმირიანი ქვევრის ტრადიციულად აღიარება, ვფიქრობ შეცდომაა, რადგან მუზეუმში მდგარი უძველესი ქვევრები სულ სხვას ამტკიცებენ, ყველაფერ ამის შესახებ უფრო ვრცლად მოთხრობილია ჩემს წერილში: „რატომ დამზადეს ძეველმა ოსტატებმა ქვევრი კონუსურ ძირზე“, უურნალი „ასალი აგრარული საქართველო“ №5. მე იმ წერილში მიუჟითე, რომ ქვევრის კონუსურ ძირზე დამზადებამ შექმნა მრავალი პრობლემა, როგორც მისი დამზადების, ისე მისი გამოყენების დროს, ამ პრობლემებს დაემატა კიდევ ერთი, ფრიად საყურადღებო პრობლემა, რომელიც ქვევრის ზომაში ზრდის შედეგად წარმოიშვა, ამის შესახებ წინა წერილში არაფერია, სწორედ ამ პრობლემის შესახებ მინდა მოგითხოვთ წინამდებარე წერილში.

როცა ქვევრების კონუსურ ძირზე დამზადება დაინტეს, მაშინ ქვევრის ზომა რამდენიმე ასეული ლიტრი იყო, ამიტომ ქვევრის მუჯურო (ქვევრის მუცელს ქვემოთ დავინწროვება ძირამდე), წაკვეთილ კონუსს წარმოადგენდა. იხ.ნახ.1. სწორედ მუჯუროს სწორხაზონად გაგრძელებამ გადაკვეთამდე, მოგვცა კონუსს ფორმის ძირი, რომელიც 8-10 სმ. დიამეტრის და 6-8 სმ. სიმაღლის მასიური თიხის ცილინდრით დააბოლოვეს, რომელსაც ქვევრის ოსტატთა ერთი წარმილი ქუსლს ეძახის, მეორე წარმილი კი კუნჭულოს. ქვევრის ძირის კონუსის ფორმით დამზადებამ გაცილებით მტკიცე და საიმედო გახადა ქვევრის მუჯურო და ძირი. შესაბამისად ქვევრიც უფრო შეკრული და მკვრივი გახდა.

ქვევრის მინაში ჩასმის კულტურის დამკვიდრებამ მოხსნა მისი ზომაში ზრდის პრობლემა, ამიტომ შემდგომ საუკუნეებში დაინტეს დიდი ზომის ქვევრების წარმოება, რომელთა ტევადიბა უკვე, რამდენიმე ტონა იყო. ქვევრის ზომაში მატებამ გამოიწვია მუჯუროს უკონტროლოდ გაფართოება და კონუსის სწორი გვერდების ნაცვლად მივიღეთ რკალის ფორმის მუჯურო, ხოლო ქვევრის ძირა, რომელიც მახვილ კუთხეს წარმოადგენდა, ნახევარსფეროს ფორმა მიიღო. იხ.ნახ.3. ძირის ამ სახეცვლილებას არ მოჰყოლია ქვევრის ქუსლის დიამეტრის გაფართოება და მრავალტონიან ქვევრს დღესაც 10 სმ. დიამეტრის ქუსლზე ამზადებენ. თუ პატარა ქვევრის შემთხვევაში, ბრტყელი ძირის კონუსურით შეცვლამ და ქუსლზე დამზადებამ ქვევრი უფრო მტკიცე გახადა, დიდი ზომის ქვევრების შემთხვევაში, პირიქით მოხდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სრული დატვირთვის შემთხვევაში, ვინრო ქუსლმა ქვევრის რკალისებრი ძირი, შეიძლება შეამტკრიოს კიდეც. თუ დღემდე ეს არ ხდება, ამას ქვევრის დაცემენტების კულტურის არსებობას უნდა ვუმადლოდეთ, რომელიც დამზადების დროს დაშვებულ ამ შეცდომას, საიმედო ასწორებს. ვლიქრობ, ქვევრი, დაცემენტების გარეშე უნდა იყოს საიმედო ჭურჭელი, ამისთვის კი საჭიროა ქვევრის ძირისა და მუჯუროს გაფართოებასთან ერთად, შესაბამისად გაფართოვდეს ქვევრის ქუსლის დიამეტრი და ის ოქროს კვეთის პროპორციით უნდა მიებას ქვევრის ყელის დიამეტრს. თუ ქვევრის ყელის დიამეტრი 60 სმ-ია, მაშინ ასეთი ქვევრი, ოქროს კვეთის პროპორციაში 37 სმ. დაიმეტრის ქუსლზე უნდა დამზადდეს. ასეთი დიამეტრის ქუსლზე დამზადებული ქვევრი კი, ჯერ ერთი, საგრძნობლად

გააძლიერებს დიდი ქვევრების კონსტრუქციას და მეორეც, ეს ქვევრის დამზადების ტრადიციულ ძირზე დაბრუნება იქნება. მით უმეტეს ქვევრის გაცლის პრობლემა, მისი ძირის ფორმაზე დიდი ხანია აღარაა დამოკიდებული და დიდ ქვევრებში ეს ოპერაცია დღეს ავტომატიზირებულია.

ქვევრით ჩემი დაინტერესების საწყის ეტაპზე, პირველ რიგში, ქვევრის დამზადება ვისწავლე, ამიტომ ვიცი, თუ რა მნიშვნელოვანია მექვევრე ოსტატებისათვის ქვევრის ფართო ძირზე დამზადების ტრადიციის აღდგენა. ისინი ქვევრის დამზადების დროს მრავალჯერადი შეხიდებების გამოყენებისას დიდ უხეხულობას განიცდიან. ალბათ, იშვიათია ოსტატი, რომელიც ამ მიზეზით, რამდენიმე ქვევრის გატეხვის შემთხვევას, რომ ვერ გაიხსენდას.

ქვევრის ბრტყელ ძირზე დამზადებით იზრდება მისი უსაფრთხოება, როგორც დამზადების დროს, ისე მისი გამოყენებისას. ბრტყელ ძირზე დამზადებული ქვევრი წაქევევის შემთხვევაში არ ტყდება, რადგან ის, უზინდებურად კი არ ვარდება, არამედ ადგილი აქვს ქვევრის მუცელზე გადაგორებას. რაც შეეხება პატარა ქვევრებს, მათი დამზადება კვლავ კონუსურ ძირზე უნდა მოხდეს, რადგან ზემოდან რეცხვისას ეს კონსტრუქცია ამართლებს თავის დანიშნულებას.

**ურავ გაბრიელი,**  
ტექნიკური უნივერსიტეტი,  
ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის  
სამუცნიერო ცენტრის უფროსი მეცნიერ-მუშაკი





## ბიოგროცარმოების განვითარების გზები საქართველოში

ბიოგროცარმოება სასოფლო-სამეურნო პროდუქციის წარმოების ისეთი სისტემაა, რომელიც ხელს უწყობს ეკოსისტემაზე გულისა და ბიოგროცარმოების განვითარების შენარჩუნებას.

დღეს, როდესაც ვარემოს დანაგვიანებამ, საკვებ პროდუქტებში ქიმიური ნარჩენების დაგროვებამ, მავნებლების და დაავადებების პესტიციდებთან სწრაფმა შეგუებამ სოფლის მეურნეობა მრავალი სირთულის წინაშე დააყენა, მთელ მსოფლიოს ნათლად აჩვენა ქიმიური მეთოდების ალტერნატივით ჩანაცვლების აუცილებლობა და ბიოაგრონარმოების გარდაუვალი მოთხოვნილება. ამიტომაც ყოველწლიურად ბიომეურნეობებისა და ბიოფერმერების რიცხვი სწრაფად იზრდება. იმის მიუხედავად, რომ ბიოპროდუქცია მაღალი თვითლირებულებით და შესაბამისად, მაღალი სარეალიზაციო ფასით გამოირჩევა, მასზე მოთხოვნილება საკმაოდ მზარდია, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში.

საქართველოს ბიოაგრონარმოების განვითარების დიდი შესაძლებლობები აქვს. 90-იან წლებში განხორციელებული მიწის რეფორმის შედეგად მიწების დიდი ნაწილი მიტოვებული და დაუმუშავებელია. ამჟამად, როცა მთავრობის ძალისხმევა მიმართულია მათი ათვისებისაკენ, ამ მიწების დღევანდელი მდგომარეობა და ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები ბიომეურნეობების შექმნისა და ბიოაგრონარმოების განვითარების უნიკალურ საშუალებას გვაძლევს.

თუ გვსურს, საქართველოს სოფლის მეურნეობა მსოფლიო ბაზარზე წარმატებული და კონკურენტუნარიანი იყოს, ამ მიზნის განსახორციელებლად ბიოაგრონარმოება ერთადერთი გზაა, მით უფრო დღეს, როცა ევროპის ბაზრის კარი ასე ფართოდ იღება ჩვენთვის. პროდუქციის რაოდენობით ჩვენ დიდ ქვეყნებს კონკურენციას ვერ გავუწევთ,

მაგრამ ამ პროდუქციის მაღალი ხარისხით და სიჯანსალით ნამდგილად შეგვიძლია ვიამაყოთ, თუ მოვინდომებთ და ბიოაგრონარმოებას განვავითარებთ. როგორ მივაღწიოთ ამას? როგორია ბიოაგრონარმოების განვითარების გზები საქართველოში? როგორ გაუჩინოთ სურვილი ფერმერს, ბიონარმოება დაიწყოს და განვითაროს?

საქართველოში ბიოაგრონარმოების განვითარებისათვის ჩანასახი უკვე არსებობს. უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, ამ საქმეს ბიომეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ემსახურება. შექმნა ბიოპრეპარატების მნარმოებელი „ბიოაგრო“ და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია. არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა (კანონი „ბიოლოგიური აგრონარმოების შესახებ“). 2013 წელს კი უკვე მთავრობის დადგენილებით მიღებულია წესები „ბიონარმოების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოდან. შემუშავებულია ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, ნიშანდების და გასაღების

სტანდარტი („გრინ კავკაზუსი“), სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში შექმნილია ბიოაგრონარმოების სამსახური და ა.შ. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ძირითადი სამუშაო ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია. მთავარი კი ისაა, რომ ფერმერს ტრადიციული მეურნეობიდან ბიომეურნეობაზე გადასვლის სურვილი გაუჩინდეს. ეს არ არის ადვილი. მას ნათლად უნდა დავანახოთ, რომ ქიმიური საშუალებების გამოყენება მართალია თითქოს და დიდი მოგების სწრაფად მიღების საშუალებას იძლევა, მაგრამ ცოტა უფრო შორეულ პერსპექტივაზე გათვლით ეს მოგება კი არა, კატასტროფაა, რადგან ვერაფერი აანაზღაურებს დროთა განმავლობაში გარემოსათვის, ჩვენთვის და ჩვენი მომავალი თაობების ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანს. მართალია ბიოაგრონარმოება უცებ არ აძლევს ფერმერს დიდ მოგებას, მაგრამ რამდენიმე წელინადში მისი შემოსავალიც თანდათან გაიზრდება, ეკოლოგიური



წონასწორობაც შენარჩუნებული იქნება ბუნებაში, რაც მრავალ კატასტროფას აგვაცილებს თავიდან და ჩვენს მომავალსაც გავუფრთხილდებით.

ვფიქრობთ, ყოველივე აღნიშნული რომ გაიაზროს თითოეულმა ფერმერმა, დიდი მუშაობის ჩატარებას საჭირო. აუცილებელია შესაბამისი სამსახურების (ბიოაგრონარმოების სამსახურის) მიერ რეგიონებში გასვლა და ფერმერების ინფორმირება (სემინარების გამართვა, პრეზენტაციების წარდგენა, ვიდეო მასალის გამოყენება, საინფორმაციო ბუკლეტების შედგენა და დარიგება და სხვა). შემდეგი ეტაპი უნდა იყოს უკვე სწავლება ტრენინგების ჩატარების გზით. ბიომეურნეობაზე და ბიონარმოებაზე გადასვლის მსურველ ფერმერს უნდა მიეწოდოს შესაბამისი ცოდნა, თუ როგორ მართოს ბიომეურნეობა, როგორ ანარმონს ბიოპროდუქცია და როგორ გაყიდოს. ასევე აუცილებელია, დავეხმაროთ გაერკვეს შესაბამის კანონმდებლობაში.

საჭირო იქნება შესაბამისი პრაქტიკულად გამოსაყენებელი ლიტერატურის გამოცემაც, აგრეთვე რეკომენდაციებს მომზადება მცენარეთა ცალკეული კულტურების თუ ცხოველთა ჯაშების ბიომეთოდებით წარმოებას შესახებ.

ბიოაგრონარმოების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მასერტიფიცირებელი ორგანოების ჩამოყალიბება, რომლებიც მოახდენენ ბიოფერმერთა სერტიფიცირებას. იმისათვის, რომ ფერმერი ბიოაგრონარმოებაზე გადავიდეს და ბიოფერმერად იქცეს, მხოლოდ სურვილი და მეურნეობის ორგანული მეთოდებით მართვა არ არის საკმარისი. აუცილებელია აკრედიტირებულ მასერტიფიცირებელ ორგანოში აღრიცხვაზე ასვლა, თავისი მეურნეობა კონვერსიაზე დააყენოს (დროის გარევეულ პერიოდში არაბიონარმოებიდან ბიონარმოებაზე გადასვლა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ პერიოდში ისწავლოს ბიოსტანდარტის მოთხოვნების დაცვა), შემდეგ გადავიდეს



უკვე ბიონარმოებაზე და აიღოს სერტიფიკატი. აუცილებელია ბიოფერმერთა მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნაც. სასურველი იქნება, ნელინადში ერთხელ მაინც მსურველთათვის სპეციალური სასწავლო კურსების ჩატარება. ასევე ურიგო არ იქნება ბიოაგრონარმოების მიმართულების ექსტრემის კონსულტანტების გადამზადებაც. მანამდე კი აუცილებელია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო-საწვრთნელი პროგრამების შემუშავება.

რეგულარულად უნდა დაინეროს სამეცნიერო-პოპულარული სტატიები არა მხოლოდ აგარარული მიმართულების უზრნალებში, არამედ ყოველდღიურ უზრნალ-გაზეთებშიც. საჭიროა არა მხოლოდ ფერმერების, არამედ მთელი საზოგადოების მუდმივი ინფორმირება. როცა ხალხს ექნება მოთხოვნა ბიოპროდუქციის წარმოებაზე, ფერმერი თავისთავად გადაერთვება მეურნეობის ამ მიმართულებაზე. ბიოპროდუქციას უნდა ითხოვდეს შიდა ბაზარიც და ორიენტირებული არ უნდა იყოს მხოლოდ ევროპის ქვეყნებზე.

უნდა მოხდეს მოქმედი ბიოფერმერების წახალისება, მათი ჩატარება სემინარებში და ამ დარგში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება და სხვებისათვის გაზიარება. ბიოაგრონარმოების შესაძლებლობებისათვის, ბიოაგრონარმოებაში

გამოსაყენებელი მცენარეთა და ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების, ნიადაგის განყიერების და მცენარეთა დაცვის ხალხური საშუალებების მოძიების და მათი პოპულარიზაციის მიზნით ხშირად უნდა მოეწყოს ექსპედიციები საქართველოს ყველა რეგიონში.

აუცილებელია, შეიქმნას მცირე მასშტაბის საცდელ-სადემონსტრაციო ბიომეურნეობები, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც ბიოაგრონარმოების პროპაგანდისათვის, სხვადასხვა ბიომეთოდისა და ეკოლოგიურად უსაფრთხო საშუალებების კვლევისა და გამოცდისათვის, ასევე სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხელშეწყობისათვის ორგანული სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

მეტად მნიშვნელოვანია ბიოაგრონარმოების კუთხით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავება და განხორციელება. კვლევები შეიძლება შეეხოს ბიოაგრონარმოების სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის ბიოაგრონარმოების თვისობრივი მახასიათებლების (ნიადაგი, ტექნიკური პირობები, ბიოეკოლოგიური ფაქტორები) კვლევას, ნიადაგის ბიოსასუქებით განყიერებას, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კვლევას და მათ გამოყენებას, მათ შორის პესტიციდების ალტერნატიულ საშუალებებს, მცენარეთა

დაცვის სალხურ საშუალებებს, ეკოლოგიურად უსაფრთხო ვეტერინარულ საშუალებებს და სხვ. აგრეთვე ბიოგრონარმოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევის მეთოდების შემუშავებას და ა.შ.

აუცილებელია ურთიერთობა როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთში მოქმედ ბიოგრონარმოებასთან

დაკავშირებულ ორგანიზაციებთან, ინფორმაციის გაცვლა და გაზიარება, აგრეთვე ამ კუთხით დაგეგმილ ადგილობრივ და საერთაშორისო სემინარებზე, ტრენინგებზე, გამოფენებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღება.

აღნიშნული გზებით და მხოლოდ ასეთი აქტიური, მიზანდასასული ქმედებებით შევძლებათ ორგანული სოფლის მეურნეობის ფართოდ

დანერგვასა და განვითარებას საქართველოში. ბიოაგრონარმოება თანდათან ფეხს იკიდებს ჩვენს ქვეყანაში და იგი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება.

**ზ. ბერეზავალი, ვ. ცენავაძე,**  
სსიპ სოფლის მეურნეობის  
სამუნიცირო-კვლევითი ცენტრი,  
ბიოაგრონარმოების სამსახური

## კლიმატი და გარემონტინირებული საკითხები

# ბიოგრავალფეროვნება და მასზე გლობალური დათბობის გავლენის გრძელების ზოგიერთი საკითხი

დღეს მსოფლიო საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი საზრუნვია გლობალური დათბობა და მისი შესაძლებელი გავლენა გუნებაზე. უკანასკნელი 100 წლის განვითარებისა (1906-2005 წლები) პარის ჟამავრატურის საშუალო მათებამ დაზღვიური მთელ ზედაპირზე 0,74° შეადგინა.

მონაცემთა დაკვირვებები, ანალიზი და კლიმატის მოდელების გათვლები გვაძლევს შეთანხმებულ სურათს, რომლის მიხედვითაც კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯვაფი შემდეგი დასკვნები ჩამოაყალიბა:

- ნაკლებ მოსალოდნელია, რომ გლობალური დათბობა ბოლო ათწლეულების მანძილზე არ არის დაკავშირებული კლიმატის ზემოქმედებაზე;
- დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის მეორე

ნახევარში გლობალური დათბობის მეტი წილი დაკვირვებადი სითბური ეფექტის მქონე გაზების მზარდი კონცენტრაციით (ადამიანის სამეურნეო საქმიანობით) არის გამოწვეული;

• გლობალურ დათბობაში ძირითადი წვლილი შეაქვს ნახშირორჟანგს ( $\text{CO}_2$ ), რომელიც ატმოსფეროში სითბური გაზების ეფექტს – შეფასებების მიხედვით ის 55%-ით აძლიერებს; ხოლო სამრეწველომდელ პერიოდთან შედარებით მისი კონცენტრაცია ატმოსფეროში 38%-მდე გაიზარდა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების მიხედვით, სამეურნეო და სამრეწველო საქმიანობის შედეგად დედამიწის ატმოსფეროში ყოველწლიურად 27 მლრდ ტ.  $\text{CO}_2$  გამოიყოფა. აქედან 30%-ს შთანთქავს მსოფლიო ოკეანე, 13%-ს – ბიოსფერო და ნიადაგი, ხოლო 57% რჩება ატმოსფეროში. იმის გამო, რომ  $\text{CO}_2$ -ის ბუნებრივი შთანთქმის სიჩქარე ოკეანეთი და ბიოსფეროთი შეზღუდულია, ამ გაზის მნიშვნელოვანი ნაწილი გროვდება ატმოსფეროში ასეული წლების განმავლობაში, რითაც ხელს უწყობს შემდგომ დათბობის მატებას. ექსპერტთა აზრით, სამრეწველო ეპოქის დასახუისიდან ატმოსფეროში დაგროვილია 770 მლრდ.ტ. ანთროპოგენური  $\text{CO}_2$ .

XXI საუკუნეში გლობალური დათბობა გაგრძელდება ანთროპოგენური გაზების გამოსროლის სცენარის ნებისმიერი ცვლილების მიუხედავად. ასე რომ საუკუნის ბოლოს ტემპერატურამ შესაძლოა მოიმატოს  $2-4^{\circ}\text{C}$ -ით, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს ბუნებრივი ეკოსისტემებისთვის საშიშ შედეგებს, სერიოზულ ზიანს მიაყენებს მსოფლიოს უმეტესი ნანილის ქვეყნების ეკონომიკას: გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება ცოცხალი ირგანიზმების სახეობის 15-40%; 20-30%-ით შემცირდება მტკნარი წყლის რესურსები მრავალრიცხოვანი დასახლების რაიონებში (აფრიკა,



ხმელთაშუა ზღვის რაიონები);  
5-10%-ით შემცირდება  
მოსავლიანობა მრავალ რეგიონში;  
10 მლნ-მდე სანაპირო ზონის  
მაცხოვრებელი ყოველწლიურად  
იქნება წყალდიდობების რისკის  
ქვეშ; დაჩქარდება მსოფლიო  
ოკეანის დონის მატება; გაიზრდება  
ატმოსფეროს ცირკულაციის  
მასშტაბური ცვლილებების რისკი და  
სხვა.

## გიომრავალფეროვნების საფრთხე

თანამედროვე მსოფლიოში  
ეკოლოგიურმა პრობლემებმა თავისი  
მნიშვნელობით, ერთ-ერთი პირველი  
ადგილი დაიკავეს. საწარმოო და  
ეკონომიკური სწრაფი განვითარება  
ხშირად დამანგრეველ გავლენას  
ახდენს გარემოზე. ადამიანის  
გავლენა ბუნებაზე ხდება როგორც  
ათასწლეულების მანძილზე  
ჩამოყალიბებულ ეკოსისტემების  
გარდაქმნის გზით, ასევე ნიადაგის,  
წყლის და ჰაერის დაბინძურებით.  
უნდა და ადამიანი ხელს უწყობს  
კლიმატის დათბობას და ამით  
მრავალი სახეობის ჰაბიტატის  
შეცვლას.

თანამედროვეობის მნიშვნელოვანი  
მოვლენა იყო 1992 წელს რიო-  
დე-უანერიოს კონფერენცია,  
რომელიც მიეძღვნა ბუნებრივი  
გარემოს გაუარესების  
პრობლემებს. კონფერენციაზე  
მიღებული იყო ორი კონვენცია  
(ბიომრავალფეროვნებაზე და  
კლიმატის ცვლილებაზე) და სამი  
გადაწყვეტილება (გარემოს და  
განვითარების დეკლარაცია,  
გლობალური მასშტაბის  
საქმიანობების გრძელვადიანი  
პროგრამა, ყველა სახის ტყის  
რაციონალური გამოყენების,  
შენარჩუნების და განვითარების  
პრინციპები).

ეკოსისტემებმა უკვე  
დაიწყეს რეაგირება კლიმატის  
ცვლილებებზე. არსებობს  
მცენარეთა და ცხოველთა 30-  
40% სახეობების გადაშენების  
პროგნოზი, ვინაიდან მათი  
საარსებო გარემო უფრო სწრაფად  
იცვლება, ვიდრე მათი ადაპტაციის  
უნარი. ტემპერატურის 10°C-  
ით მომატებისას გაკეთებული  
პროგნოზის მიხედვით შეიცვლება  
ტყეების სახეობების შემადგენლობა.



ტყე არის ნახშირბადის ბუნებრივი  
დამგროვებელი (ნახშირბადის 80%  
დედამიწის მცენარეულ საფარშია,  
ხოლო 40% – ნიადაგში). ტყის ერთი  
ტიპიდან მეორე ტიპზე გადასვლას  
თან ახლავს ნახშირბადის დიდი  
რაოდენობით გამოყოფა.

ბიომრავალფეროვნების  
ინვენტრარიზაცია ეკოსისტემების  
დონეზე ხშირად ხორციელდება  
აერო და თანამგზავრის  
ფოტოგადალებებით. ეს  
საშუალებას იძლევა ეკოსისტემების  
მრავალფეროვნების და  
ლანდშაფტების მახასიათებლების  
მთლიანი სურათის შედგენისა, და  
ასევე სახეობათა შესაძლებელი  
მრავალფეროვნების წინასწარი  
დასკვნების გაკეთების.

ბუნებრივი თანაარსებობის  
რთული სტრუქტურის ერთი  
მაჩვენებლით აღნირის მცდელობა,  
როგორიცაა სახეობათა სიმდიდრე,  
უსაფუძვლოა, ვინაიდან ამ დროს  
იყარება ძვირფასი ინფორმაცია  
ერთი სახეობის განასაკუთრებულ  
იშვიათობაზე და მეორის  
ჩვეულებრივობაზე.

ბუნებაში სახეობათა  
მრავალფეროვნებას გააჩნია  
რამდენიმე კანონზომიერება:  
1. ნებისმიერი თანაარსებობა  
შედგება იშვიათი სახეობების  
დიდი რაოდენობისა და რამდენიმე  
სახეობის მრავალრიცხოვნობისაგან;  
2. უფრო პროდუქტიულ გარემოს  
შეუძლია უზრუნველყოს  
მრავალრიცხოვნი სახეობების  
თანაარსებობა; 3. სახეობებით  
მდიდარი თანაარსებობა უფრო

მდგრადია; 4. სახეობათა  
მრავალფეროვნებას ამაღლებს  
გამორჩევითი მტაცებლობა; 5.  
სტრესის გავლენით კლებულობს  
იშვიათ სახეობათა რიცხვი  
და მცირდება სახეობათა  
მრავალფეროვნება.

ფუნდამენტური ბიოლოგიური  
პროცესები, გამონაკლისის  
გარეშე ერთია ყველა ცოცხალი  
ორგანიზმისათვის. ეს პროცესები  
მაქსიმალურად ეფექტურია,  
როდესაც ტემპერატურა, ტენიანობა  
ოპტიმალურ მაჩვენებლებს  
აღწევს. რაც უფრო მეტად იხრება  
ეს პირობები ოპტიმალურისაგან,  
მით უფრო ნაკლებ ცოცხალი  
ორგანიზმები ხასიათდებიან  
ადაპტაციის უნარით. ზუსტად ამით  
აიხსნება ის ფაქტი, რომ ნაკლებად  
ხელსაყრელი გარემო პირობების  
მქონე რეგიონებში ნაკლებ  
სახეობათა რაოდენობა გახვდება.

მიწების, ბუნებრივი სიმდიდრის  
არაგონივრული გამოყენება  
და ადამიანის მოქმედების სხვა  
მრავალი სფერო გამოუსწორებელ  
ზიანს აყენებს დედამიწის  
ბიომრავალფეროვნებას:

1. მიწების გამოყენება თანმხლები  
წყლის რესურსების გადანაწილებით.  
ძლიერდება გაუდაბნოება, ნიადაგის  
დამლაშება, პესტიციდებით და  
მძიმე მეტალებით დაბინძურება.  
პიდორენერგეტიკული ობიექტების  
მშენებლობა, როგორც შედეგი,  
ინვესტიციების არასტაბილურ წყლის რეჟიმის  
მკვეთრი ვარდით და დამლაშებით;

2. მომთაბარე მეცხველობა,  
რასაც მოჰყვება საძოვრული



მეურნეობის ინტენსიფიკაცია და პირუტყვის გადაძოვება, ტყის გაჩეხვა, მცენარეული ნედლეულის მომარაგება, რეკრეაცია და სხვა;

3. სამთო და ენერგეტიკული მრეწველობის განვითარება – ინვესტ წყლის და ნიადაგის დაბინძურებას.

ძალზედ საყურადღებოა აზოტის შემცველი ნალექები.

ბიომრავალფეროვნების

შემცირების მნიშვნელოვანი მიზეზი გახდა აზოტის შენართებით დაბინძურება (დამშვება). ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამან ძირითადად მოიმატა სასუქების და შხამქიმიკატების დიდი რაოდენობით გამოყენების შედეგად.

აზოტის შენართების კონცენტრაციის გადიდებამ ნიადაგში და წყალში შესაძლოა გამოიწვიოს მრავალი სახეობის დაღუპვა და მცენარეთა თანაარსებობის სახეობათა

შემთხვევაში ყველაზე დაუცველი

ხდება წყლის ეკოსისტემები. ითვლება, რომ აზოტის დაგროვება ინვესტ წყალმდებარების გაძლიერებულ გამრავლებას, რომლებიც თავის მხრივ, წამლავენ წყალს თავისი ცხოველმოქმედების პროცესში.

ადამიანის ზემოქმედება ბიოსფეროზე ღებულობს გლობალურ ხასიათს, ხოლო მისი მასშტაბები და ტემპი სულ უფრო იზრდება. პირდაპირი თუ არაპირდაპირი ანთროპოგენური ზემოქმედების

შედეგად მრავალი ბიოლოგიური სახეობა ქრება ან მათი პოპულაცია რაოდენობის კრიტიკულ ზღვარზეა, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს სახეობის აღნარმოებას. ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობაზე ადამიანის ზემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ ისინი ვერ უწევენ წინააღმდეგობას ანთროპოგენური ტრანსფორმაციის პროცესებს და კარგავენ ბუნებრივი ერთობლიობის თვითაღდებულის მნიშვნელოვან თვისებას. ამის გამო ტროპიკული ტყეების ფართობი სულ უფრო მცირდება, ხდება გაუდაბნოება სავანების, ტყეების, ველების ხარჯზე.

დათბობა არაერთმიშვნელოვან გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობაზე. ზოგიერთ ზომიერი კლიმატის მქონე რაიონში მოსავლიანობა შეიძლება გაიზარდოს კიდეც ტემპერატურის უმნიშვნელოდ გადიდების შემთხვევაში, მაგრამ საგრძნობლად შემცირდება ტემპერატურის მნიშვნელოვანი ცვლილებების გამო. პროგნოზებით, მთლიანობაში ტროპიკულ და სუბტროპიკულ რეგიონებში მოსალოდნელია მოსავლიანობის შემცირება.

ბუნების დაცვის მსოფლიო სტრატეგიის მიერ დასახულია შემდეგი გადაუდებელი ლონისძიებები: მთავარი ეკონომიკური პროცესების და ეკოსისტემების მხარდაჭერა, აფრიკული სითბურ გაზებს

რომლებისგან დამოკიდებულია თვით კაცობრიობის არსებობა; ორგანიზმების გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება; სახეობათა და ეკოსისტემების რაციონალური და ხანგრძლივი გამოყენება მათი შენარჩუნებით და აღნარმოებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე დიდ საფრთხეს კლიმატის გლობალური ცვლილებისათვის წარმოადგენს სითბური გაზების გაფრქვევა ატმოსფეროში. სოფლის მეურნეობა არის ამ გაზების დაახლოებით 20%-ის წყარო ( $\text{CO}_2$ ,  $\text{CH}_4$ ,  $\text{N}_2\text{O}$ ). განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გაზები გამოიყოფა მეცხოველეობის სექტორში. ამიტომ მსოფლიოს ეკოაქტივისტები ვეგეტარიანულ მიმართულებას უწევენ პროპაგანდას – არ იქნება მეცხოველეობა – არ იქნება პრობლემები... მაგრამ საქმე არც ისე მარტივად ჩანს. სითბური ეფექტის გაზები მცირე რაოდენობით ყოველთვის იყო ატმოსფეროში (დაახლოებით 1%) მისი წარმოქმნის მომენტიდან. ეს რაოდენობა საკმარისი იყო დედამიწაზე სითბური ბალანსის სიცოცხლისათვის გამოსადეგი დონის შენარჩუნებისათვის. ეს იყო ე.წ. ბუნებრივი სითბური ეფექტი, რომლის არარსპობის შემთხვევაში დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა  $30^{\circ}\text{C}$ -ით ნაკლები იქნებოდა,  $16^{\circ}\text{C}$  ცვლად (როგორც ამჟამად არის დაფიქსირებული)  $-17^{\circ}\text{C}$  იქნებოდა.

ბუნებრივი სითბური ეფექტი არ წარმოადგენს საფრთხეს არც დედამიწისათვის, არც კაცობრიობისათვის, რადგან ამ გაზების საერთო რაოდენობა სტაბილური იყო და წარჩუნდებოდა ერთ დონეზე ბუნების წრებულების ხარჯზე. მაგრამ სითბური გაზების კონცენტრაციის მატება ინვესტ სითბური ეფექტის გაძლიერებას და დედამიწის სითბური ბალანსის დარღვევას. ზუსტად ეს მოხდა ცივილიზაციის განვითარების ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში. ქვანახშირის ელექტროსადგურები, საავტომობილო გამონაბოლქევი, ქარხნების მიღვაყვანილობა და ადამიანის მიერ შექმნილი სხვა სახის დაბინძურების წყაროები აფრქვევენ ატმოსფეროში სითბურ გაზებს

წელიწადში დაახლოებით 22 მლრდ ტონის ოდენობით.  
ფაო-ს ექსპერტებმა ჩაატარეს გლობალური კვლევა და წარუდგინეს მსოფლიოს დამადასტურებელი ციფრები, რომლებიც ნათლად ასახავენ იმას, რომ ორგანული სოფლის მეურნეობა არა მარტო უზრუნველყოფს მოსახლეობას ჯანსაღი პროდუქტებით, ინარჩუნებს ბიომრავალფეროვნებას და ნიადაგის ნაყოფიერებას, არამედ მას შეუძლია 2-ჯერ შეამციროს სითბური გაზების რაოდენობის გაფრქვევა. ე.ი. ორგანული მეურნეობების ფერმერებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კლიმატის გლობალურ ცვლილებებთან ბრძოლაში.

გერმანელმა მკვლევარებმა ჰასამა და კოპერმ 1994 წელს დაადგინეს, რომ გერმანიაში ბიოფერმა ატმოსფეროში გამოყოფდა 0,5 ტ/ჰა CO<sub>2</sub>-ს, მაშინ როდესაც ინტენსიური მეურნეობა - 1,3 ტ/ჰა CO<sub>2</sub>-ს. სხვაობამ შეადგინა 60%.

ორგანული მეურნეობა ამცირებს ნახშირორუანგის გამოყოფას ატმოსფეროში საშუალოდ 48-66%-ით ინტენსიურ მეურნეობებთან შედარებით. ფაო-ს ექსპერტები ასახელებენ ამის 3 მიზეზს: ორგანული წარმოების მეთოდი ამაღლებს ნიადაგის ნაყოფიერებას; სინთეტიკური სასუქების და პესტიციდების არარსებობის გამო ნიადაგში ნარჩუნდება ნახშირების ენრგოკონსიური გამოყენება.

მეცნიერების აზრით, გლობალური დათბობის პროცესის შეჩერებას ხელს შეუწყობს შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- წიაღისეული საწვავის ჩანაცვლება ეკოლოგიურად სუფთა საწვავით (მზის ენერგია, ქარის და ზღვის დინების ენერგია);
- ენერგიის დაზოგვის და უნარჩენო ტექნოლოგიების განვითარება;
- გარემოში გამონაბოლქვის გაფრქვევის დაბეგვრა;
- ხეების დარგვა;
- ნახშირორუანგის შთანთქმის და მისი გაუვნებლივის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
- ეკოლოგიური განათლება;
- ფიტომელიორაციის გამოყენება სოფლის მეურნეობაში.

ნაციონალური ეკონომიკის ადაპტაციის ღონისძიებები ახალ კლიმატურ პირობებში მიმართულია უპირველეს ყოვლისა, საგანგებო სიტუაციებისადმი ადაპტაციისაკენ (სიცხე, ყინვა, გვალვა, ძლიერი წვიმები). ადაპტაციის ძირითადი ღონისძიებები ხორციელდება ქვეყნის მეურნეობის ისეთ დარგებში, როგორიცაა ენერგეტიკა, წარმოება, სოფლის და სატყეო მეურნეობა, ტრანსპორტი და კომუნალური მეურნეობა. წინასწარი ადაპტაციის ზომების მიღება ხელს შეუწყობს ნაციონალური ეკონომიკის მდგრადობის ამაღლებას კლიმატური ცვლილებისადმი. აგროკლიმატური არეალის საზღვრების შეცვლისათვის აუცილებელია ზომების მიღება პირველ რიგში სოფლისა და სატყეო მეურნეობაში. ასეთი ადაპტაციის ზომები სოფლის მეურნეობაში შემდეგია:

- სასოფლო-სამეურნეო მიწების და სახნავ-სათესი ფართობების რესტრუქტურიზაცია;
- წყლის დაზოგვის ტექნოლოგიების განვითარება სოფლის მეურნეობაში;
- წიადაგის დაცვა, მათ შორის ეროზიასთან ბრძოლა;
- ბიოტექნოლოგიების განვითარება და კლიმატურ ცვლილებებთან ადაპტირებული ახალი კულტურების სელექცია;
- წიადაგის თესვის წინა დამუშავების ვადების შეცვლა;

● მწერებთან, მავნებელ-დავადებებთან ბრძოლა;

- მოსავლიანობის მატება სასუქების გამოყენების ეფექტურობის გაზრდის და მცენარეთა დაცვის საშუალებების ხარჯზე.

კლიმატური ცვლილებების გლობალური ხასიათის გამო აუცილებელია გამოინახოს პრობლემის გადაჭრის გზები საერთაშორისო დონეზე. ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობის გათვალისწინებით საერთაშორისო თანამეგობრობამ მიიღო პირველი საერთაშორისო შეთანხმება 1992 წელს: გაერო-ს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც გლობალურ დათბობასთან და მის შედეგებთან ბრძოლისკენ არის მიმართული. კლიმატის შეცვლის პრობლემის ეფექტურად გადაჭრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრანსნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე საერთაშორისო თანამშრომლობას. საქართველომაც სხვა დანარჩენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა კონსტრუქციულ დიალოგში, რომლის მიზანი კონკრეტული ეფექტური შედეგები იქნება.

**რ. ბერბლაშვილი, გ. ტორიაშვილი,  
გ. გორგაშვილი, გზ. სარალიძე**





## ორგანულ-მინერალური ნარევები და მათი გამოყენების შესაძლებლობა ფარმარულ მეურნეობები

ცოცლის მეურნეობის მდგრადი განვითარების კონცეფციის  
რიალიზაციაში უნივერსალობანის აღმილი ეკოტენის მცენარის  
საჭვები ელემენტებით უზრუნველყოფას, რომორც მოსავლიანობისა  
და ხარისხებრივი მაჩვენებლების განვითარების ფაქტორს.  
ეკოლოგიურად განვითარებული განოზირების სისტემის დამუშავება  
უდია ეფუძნებოდეს ნიადაგში საპვები ელემენტების შესატვისებელი  
ფორმების უზრუნველყოფის დონის გათვალისწინებას.

უკანასკნელი წლების  
განმავლობაში თითქმის ყველა  
კულტურათა მოსავლიანობა  
მინიმუმადე დაეცა. განადგურდა  
მაღალი პოტენციალის მქონე  
ჯიშები, დეგრადირდა ნიადაგი,  
შემცირდა ნაყოფიერების  
ძირითადი მაჩვენებელი -  
ჰუმუსი. დღის წესრიგში დადგა  
საკითხი მინერალური სასუქები  
ჩაგვენაცვლებინა ჰუმინური,  
ორგანულ-მინერალური სასუქებით,  
რომელიც წარმოადგენს კულტურულ  
მცენარეთა საკვები ელემენტებით  
უზრუნველყოფის ძირითად, ხოლო  
ზოგჯერ ერთადერთ წყაროს.

ცნობილია, რომ ჰუმინური  
სასუქების ეფექტურობა  
გამოიხატება იმაში, რომ ის შეიცავს  
მცენარისათვეს შესათვისებელ  
ფორმაში საჭირო საკვებ  
ელემენტებს, ამავდროულად ისინი  
შეიცავენ ფიზიოლოგიურად აქტიურ  
ნივთიერებებს. მისი გამოყენება  
საშუალებას გვაძლევს ნიადაგში  
მოხდეს სასარგებლო მიკროფლორის  
აქტივაცია, უმჯობესდება ნიადაგის  
სტრუქტურა, იზრდება ნიადაგის  
ნაყოფიერების დონე.

ორგანულ-მინერალური სასუქების  
გამოყენება შესაძლებლობას ქმნის  
მივიღოთ ეკოლოგიურად უსაფრთხო  
პროდუქტი, რომელიც არ შეიცავს  
პათოგენურ მიკროფლორას, მძიმე  
მეტალებს, არ გააჩნიათ ადაპტაციის  
პერიოდი.

ჩვენი კვლევის მიზანს  
წარმოადგენდა, ბუნებრივი  
ჰუმატების შემცველი ნედლეულიდან

ტორფი, ნახშირი და ბუნებრივი  
აგრომადნებიდან, ცეოლითი,  
ფილიფსიტი, ფისფორიტის ფქვილი,  
დოლომიტი, სხვადასხვა წარმოშობის  
თიხები, ტრაქიდები, მიგველო  
ეკოლოგიურად და ბიოლოგიურად  
უსაფრთხო ორგანულ-მინერალური  
სასუქი და ამავდროულად  
შეგვესწველა მათი რაციონალური  
შეფარდება გათვალისწინებით იმისა,  
თუ რა პროცესები წავა ნიადაგსა და  
მცენარეში.

მუშაობა წარვმართეთ სამი  
მიმართულებით. შევისწავლეთ:  
1. ცდაში გამოყენებული  
ნედლეულის შემადგენლობა. 2.  
ბუნებრივი ნედლეულის მცენარეზე  
ზემოქმედების ეფექტური



შეფარდება. 3. პროცესები, რომელიც  
მიმდინარეობს ნიადაგსა და  
მცენარეში.

ცდის პირველ ეტაპზე  
გამოვიყენეთ ტორფი, ნაკელი,  
ცეოლითი, ფილიფისიტი და  
საპროცესი. აღნიშნული ბუნებრივი  
სასუქები გარკვეული შეფარდებით  
ავურიეთ ტყის ნიადაგს და  
ვაწარმოეთ მათი ეფექტურობის  
შესწავლა მეტად მნიშვნელოვან და  
პერსპექტიულ, ნაკლებად ცნობილ  
სამკურნალო მცენარე სტევიის  
კულტურაში.

სტევია საქართველოში ნაკლებად  
გავრცელებული მცენარეა, მისი  
სამშობლო პარაგვაია. სტევიის  
ფოთლებში აღმოჩენილი რვა  
გლუკოზიდი, სტევიოზიდი, A, B, C,  
D, Γ რებაუზიოდები, A დუკლოზიდი  
და სტევიოლბიოზიდი, მათი სიტებო  
50-450-ჯერ აღემატება საქართვას  
სიტებოს. სტევიოზიდი 150-300-ჯერ  
უფრო ტკბილია საქართვაზე.

როგორც აღვნიშნეთ სტევია  
სამკურნალო მცენარეა, რომელიც  
მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება,  
როგორც სასმელებისა და საკვები  
პროდუქტების ბუნებრივი  
დამატებობელი. დადგენილია  
სტევიის პროდუქტების  
ტიკანცეროგენული, ანტიდიაბეტური  
და ანტიჰიპერტენზიული თვისებები.  
სტევია ბალახოვანი მრავალწლიანი  
მცენარეა მინისზედა ნაწილების  
ყოველწლიურად კედომადი და  
თავიდან ზრდადი ღროვებით.  
მისი სიმაღლეა 80-85 სმ. ის  
სითბოს მოყვარული მცენარეა,  
ამიტომ მისი მოვლა-მოყვანა  
ჩვენთან შეზღუდულია, მაგრამ  
შესაძლებელია შავი ზღვის სანაპირო  
ზოლში. დასავლეთ საქართველოში.

სტევია შემოტანილი იქნა  
1986 წელს. მცენარეები  
დაირგო ანასეულში,  
ნატანების ექპერიმენტალურ  
მეურნეობაში (წერმალალა),  
სოხუმის ფილიალში (ბაგრატის  
მთაზე), ჩაქვის და კოლხეთის  
ფილიალებში. ექსპერიმენტალური  
მონაცემებით დამტკიცებული  
იქნა, რომ ჩვენს პირობებში  
შესაძლებელია მისი როგორც  
ერთწლიან, ისე მრავალწლიან  
ციკლში მოყვანა. აღნიშნული  
გარემოებიდან გამომდინარე  
ჩვენთვის მნიშვნელოვან  
საკითხს ნარმოადგენდა სტევიის

გავრცელების შესაძლებლობის  
შესწავლა არა მარტო ღია გრუნტის  
პირობებში, არამედ დახურულ  
გრუნტშიც. ცდა დაყენებული იქნა  
ლაბორატორიულ, კონტროლირებად  
პირობებში 5კგ-იანი ტევადობის  
საკვეგეტაციო ჭურჭლებში  
4-ჯერადი განმეორებით. ჩვენს  
მიერ განსაზღვრული იქნა  
როგორც ტყის ნიადაგის, ასევე  
ცდაში გამოყენებული ბუნებრივი  
აგრომადნების შემადგენლობაც.  
ტყის ნიადაგის აგროქიმიური  
მაჩვენებლები:

მცენარის სიმაღლე იზრდება  
10.2%-ით. ფოთლის რაოდენობა  
30.2%-ით, ღეროს დიამეტრი-  
19%-ით. ასეთივე კანონზომიერება  
აღინიშნება ბიოპროდუქტიულობის  
მაჩვენებლების განსაზღვრისას,  
ჩვენს შემთხვევაში ვგულისხმობთ  
მცენარის მთლიან ბიომასას  
(ცხრილი-7), რომელიც  
საკონტროლო ვარიანტთან  
შედარებით იზრდება 55.4-61%-  
ით. შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ  
საუკეთესო ნარევს ნარმოადგენს  
ნიადაგის, ნაკელისა და ცეოლითის

ცხრილი №1. ტყის ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლები:

PH-KCL-ის სუსპენზიაში	გაცვლითი მჟავიანობა მგ/100გრ ნიადაგში	მოძრავი ფოსფორი მგ/100გრ ნიადაგში	MgO მგ/100გრ ნიადაგში	CaO მგ/100გრ ნიადაგში	K <sub>2</sub> O მგ/100გრ ნიადაგში	ჰუმური %	საერთო აზოტი %
4,4	8,5	25,0	22,0	25,0	15,0	5,2	0,335

აღნიშნული ნიადაგი საუკეთესო  
ფონია ცდის ნარმართვისათვის.

ნარევი შეფარდებით 5:3:2:,  
სადაც როგორც მინისზედა

ცხრილი №2. ტორფის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

PH-KCL-ის სუსპენზიაში	ორგანული ნივთიერება%	ნაცარი%	საერთო აზოტი%	საერთო ფოსფორი%	CaO%	ჰუმინური მჟავები%	ტენიანობა %
4,9	71,3	28,7	1.78	5.16	3.32	33.2	65

ცდაში აღებული გვერნდა 4  
ვარიანტი: 1. ნიადაგი, ტორფისა და  
ფილიფისიტის ნარევი შეფარდება  
5:3:2: 2. ნიადაგი, ნაკელისა და  
ცეოლითის ნარევი შეფარდება 5:3:2:

3. ნიადაგი, საპროპელის და  
ცეოლითის ნარევი შეფარდება 5:3:2:

ვაკევიდებოდით მცენარეთა  
ზრდა-განვითარებას ფაზების

კალენდარული პერიოდის

განმავლობაში, რომლის

საშუალებითაც ვადგენდით როგორ  
განსხვავდებოდა მცენარეთა

განვითარება ვარიანტების

მიხედვით. ჩატარებულმა

ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ

როგორც მცენარის

სიმაღლე,

ასევე ფოთლის

რაოდენობა და

ღეროს დიამეტრის

ყველაზე მაღალი

მაჩვენებელია

მიღებული

ნიადაგის, ნაკელის

და ცეოლითის

ვარიანტები

საკონტროლოსთან

შედარებით

ნაწილის წონა, ასევე ფესვების  
წონა და შესაბამისად მცენარის  
მთლიანი წონის ყველაზე  
მაღალი მაჩვენებელი არის

ცხრილი №3.

ნაკელის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

საერთო აზოტი%	საერთო ფოსფორი%	საერთო კალიუმი%	CaO%
0.54	0.25	0.70	0.60

ცხრილი №4. ცეოლითის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

SiO <sub>2</sub> %	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub> %	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub> %	FeO%	CaO%	MgO%	Na <sub>2</sub> O%
62,9	13,0	1.18	0,36	6,2	1,5	1,8

ცხრილი №5. ფილიფისიტის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

SiO <sub>2</sub> %	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub> %	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub> %	FeO%	CaO%	MgO%	K <sub>2</sub> O%	Na <sub>2</sub> O%
54,0	17,0	4,55	0,28	0,07	1,88	4,6	1,95

ცხრილი №6. საპროპელის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

PH	საერთო ჰუმური-%	საერთო აზოტი%	საერთო ფოსფორი%	საერთო კალიუმი%	CaO%	MgO%	MnO%	Co%
7,0	8,5	0,25	0,32	2,7	3,4	1,2	0,12	



ნიადაგთან ერთად გაზარდა არა მარტო მცენარის ბიომასა, არამედ ამაღლდა ნიადაგის ნაყოფიერების დონე, რაც გამოვლინდა როგორც საკვები ელემენტების მოძრავი ფორმების ( $P_2O_5$ ;  $K_2O$ ;  $CaO$ ;  $MgO$ ), ასევე საერთო ჰუმუსის და საერთო აზოტის ზრდაში.

თანამედროვე პერიოდში, როცა მიკრობიოლოგისა და ქიმიური მრეწველობის სფეროში უდიდესი მიღწევებია, როცა უამრავი სახის სინთეზური თუ ბუნებრივი სამკურნალო ნივთიერება დიდი მასშტაბით იწარმოება, მცენარე მაინც მრავალი და მეტად საჭირო შენართების წყაროა, ამიტომაც მწვანე საფარის შენარჩუნებას ბუნებრივ ლანდშაფტში უზრუნველყოფს მცენარის სარგავი მასალის მიღება, რომელიც ხდება ორი გზით—ქსოვილის კულტურათა და ვეგეტაციური მეთოდების გამოყენებით, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ორი გზით:

ა) პირდაპირ მწვანე დაკალმება.  
ბ) გამრავლება ინვიფრო კულტურით. უნდა აღინიშნოს, რომ მწვანე დაკალმების მეთოდით გამოყენებისას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუბსტრატს. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა სტევიის დაფესვიანების საუკეთესო სუბსტრატი-ცდის სქემა და ექსპერიმენტალური მონაცემები მოტანილია ცხრილ 8-ში, საიდანაც ჩანს, რომ სტევიის ნერგების დაფესვიანების საუკეთესო სუბსტრატს წარმოადგენს ტყის ნიადაგს+ნაკელის და ტყის ნიადაგს+ტორფის ვარიანტები (შეფარდება 2:1), სადაც მიღებულია დაფესვიანების ყველაზე მაღალი პროცენტი (100%-ანი დაფესვიანება), ასევე რეკომენდაცია შეიძლება გაეწიოს ტყის ნიადაგი+ნაკელი+ცეოლითის ვარიანტს (შეფარდება 2:1:0, 5 97%-ანი დაფესვიანება).

ექსპერიმენტალური კვლევის

საფუძველზე ჩვენს მიერ მომზადებული იქნა ორგანულ-მინერალური სასუქების რეცეპტურები, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას მებოსატენების დარგში მომუშავე ფერმერებისათვის, სადაც მათი წარმოება ხდება სათბურებსა და კვალსათბურებში. ცნობილია, რომ სასათბურე მეურნეობაში გარდა ოპტიმალური პირობებისა (ტემპერატურა, ტენიანობა, განათება და ა.შ.) მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სასათბურე გრუნტი ანუ ნიადაგის გრუნტი. ჩვენს მიერ მომზადებული ორგანულ-მინერალური რეცეპტურები უზრუნველყოფს მცენარეებს სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ძირითადი საკვები ელემენტებით, ამავდროულად ზრდის მცენარის მოსავლიანობას. . ჩვენს მიერ წარმოებული ექსპერიმენტალური მასალები საშუალებას გვაძლევს, რომ წვრილ გლეხურ ფერმერულ მეურნეობაში ყველა ფერმერმა შექმნას თავისი ბიომეურნებია საკუთარ ფერმაში, რითაც შეამცირებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამოკიდებულებას მინერალურ სასუქებზე, რომლის დეფიციტი ქვეყანაში შესამჩნევია.

**ღ. მამულაშვილი,  
თ. მინარაძე, რ. თამაძე,  
სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიური  
დოქტორები.**

#### ლიტერატურა

1 ვ.ალექსევი-თაფლის ბალახი  
kaa-xe Sfevia Rebaudiana Hamsi

„ჩაისა და სუბტროპიკული კულტურათა ინსტიტუტის ბიულეტენი“ №1, 1956, 164გვ

2. მ. ბზიავა ორგანული სასუქები ტენიან სუბტროპიკული „სუბტროპიკული კულტურები“ №4 1978. 109-113გვ

3. ვ. გვასალია, ნ კოკალენკო, მ. გარგულია-აფხაზეთის პირობებში ტკბილი ოთხფითოლას (თაფლოვანი ბალახი კაა-ხე) მოყვანის შესაძლებლობის

#### ბუნებრივი ორგანულ-მინერალური სასუქების გავლენა სტევიის პროდუქტებზე

№	ვარიანტები	ფოთლის წონა. გრ	ლეროს წონა. გრ	ყვავილის წონა. გრ	მინის ზედა ნანილავი სწონა. გრ	%	ფესვის წონა. გრ	მცენარის მთლიანი წონა. გრ	%
1	ტყის ნიადაგი+ ტორფი+ცეოლითი (შეფარდება 5:3:2)	9,8	8,4	1,7	19,97	100	3,6	23,6	100
2	ტყის ნიადაგი+ ტორფი+ფილიფსიტი (შეფარდება 5:3:2)	6,5	7,7	2,9	17,1	85,63	2,2	19,3	81,8
3	ტყის ნიადაგი+ ტორფი+ცეოლითი (შეფარდება 5:3:2)	13,0	13,7	4,3	31,0	155,24	7,33	38,33	161,0
4	ტყის ნიადაგი+ საპროპელი+ცეოლითი (შეფარდება 5:3:2)	8,83	11,5	4,83	25,17	126,0	2,37	27,54	116,7

შესწავლა „სუბტროპიკული კულტურები“ №3. 1989.73-77 გვ.  
4. ი. მამულაშვილი, თ. მდინარაძე,  
თ. ხურციძე – სუბტროპიკული  
ზონის დაბალნაყოფიერი ნიადაგების  
რეებულტივაცია. რეგიონები და  
ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების  
უზრუნველყოფა „გამომცემლობა  
აჭარა“ ბათუმი, 2008, 401-407 გვ.

5. ვ. ცანავა, ნ. ორაგველიძე, ი.  
მამულაშვილი მინერალური და  
ორგანული სასუქების გავლენა  
სტევიის პროდუქტებისა და  
ხარისხობრივ მაჩვენებლებზე,  
„სოფლის მეურნეობის მოამბე“ №29  
თბილისი 20011 139-143 გვ

6. ვ. ცანავა, ი. მამულაშვილი,  
თ. მდინარაძე – მინერალური  
სასუქების სხვადასხვა შეფარდების  
გავლენა სტევიის პროდუქტებზე  
სავეგეტაციო ცდის პირობებში  
„სუბტროპიკული კულტურები“ №1-4  
2010 164-171 გვ.

7. ფ. ჭავჭავაშვილი – ორგანულ-  
მინერალური ჰუმინური სასუქების  
ეფექტუანობა საქართველოს

ცხრილი №8.  
ბუნებრივი ორგანულ-მინერალური სასუქების გავლენა სტევიის დაფესვიანების ხარისხზე

№	ვარიანტები	მცენარის რაოდენობა ცალი	დაფესვიანება ცალი	დაფესვიანება%
1	ტყის ნიადაგი	22	19	86,4
2	ტყის ნიადაგი+ცეოლითი (შეფარდება 3:1)	21	19	90,5
3	ტყის ნიადაგი+ტორფი (შეფარდება 2:1)	20	20	100
4	ტყის ნიადაგი+ნაკელი(შეფარდება 2:1)	21	21	100,3
5	ტყის ნიადაგი+ტორფი+ცეოლითი (შეფარდება 2:1:0,5)	26	24	92,3
6	ტყის ნიადაგი+ ტორფი+ ტორფი+ ნაკელი (შეფარდება 2:1:0,5)	35	34	97,1

ნითელმიწა ნიადაგებზე გაშენებული  
ფოთოლსაკრეფ ჩაის პლანტაციის  
ქვეშ „სუბტროპიკული კულტურები“  
№1, 1970, 25-36 გვ.

- 63. ნიადაგი+ტორფი+ცეოლითი  
(შეფარდება 5:3:2)
- 66. ნიადაგი+ტორფი+ფილიფსიტი  
(შეფარდება 5:3:2)
- 69. ნიადაგი+ნაკელი +ცეოლითი  
(შეფარდება 5:3:2)
- 72. იადაგი+საპროპელი+ცეოლითი  
(შეფარდება 5:3:2)



## ტურიზმი სოფლი

# რა მოვალეა ტურიზმის განვითარებას სოფლად?

დღევანდელ იდეუსტრიულ გარემოში ჩალაპის აჩერავებული რიტო  
პუნებრივად წარმომოგება მოთხოვნას, სურვილს, რომ ადამიანები ხშირად  
დაისვევოს მშვიდ და ცხენარ გარემოში, სადაც სუვთა ჰარი, წარმტაცი  
პუნება და რაც მთავარია – გულითაცი გასაიძლები ელოდებიან.

მიზიდველობა, ხალხი,  
ნატურალური პროდუქტი – ეს  
აგროტურიზმის ძირითადი  
კომპონენტებია. იგი სოლიდარულ,  
პარტნიორულ ურთიერთობებს  
ემყარება და მნიშვნელოვან  
როლს ასრულებს ადგილობრივი  
ეკონომიკური აქტივობის ზრდაში.  
სტატისტიკური მონაცემებით  
მსოფლიოში დღეს 900 მილიონზე  
მეტი ადამიანი მოგზაურობს და  
ასეულ მილიონობით აშშ დოლარს  
ხარჯავს. ბევრი ქვეყნისთვის  
საერთაშორისო ტურიზმი ლამის  
შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

ჩვენს ქვეყანაში უამრავი  
ბუნებრივი რესურსია, რაც  
აგროტურიზმის განვითარებისათვის  
შესანიშნავ პირობებს ქმნის.

როგორ ვიყენებთ ჩვენში ამ

მეურნეობათა ასოციაცია „ელგანა“  
სოფლად ტურიზმის განვითარების  
მენეჯერი ნანა ქართველიშვილი:

– სოფლად ტურიზმის  
განვითარების მიმართულებით  
მუშაობა შევიცარის განვითარების  
სააგენტოს მხარდაჭერით „ელგანა“  
ჯერ კიდევ 2006 წლის ივნისიდან

რესურსს, რა კეთდება სოფლის  
ტურიზმის განვითარებისათვის?  
ამ თემაზე მესაუბრა ბიოლოგიურ





დაიწყო – თქვა ქალბატონშა ნანამ.  
ჩვენი პროექტის მიზანია სოფლის  
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო  
პირობების გაუმჯობესება,  
რასაც უსათუოდ მოჰყვება  
ხალხის დასაქმება, ტრადიციული  
პროდუქტების წარმოება და  
რეალიზაცია.

პროექტის ფარგლებში  
„ელკანამ“ სოფლად და პატარა,  
მაგრამ ისტორიულ ქალაქებში  
სახლები შეარჩია. ამ სახლებში  
სტუმართათვის მომზადებულია  
2-7 საძინებელი ოთახი, რომელიც  
ელემენტარულ საყოფაცხოვრებო  
პირობებს აკმაყოფილებს.  
შერჩეულია აგრეთვე ოჯახები,  
რომელთაც აქვთ საინტერესო,  
ტრადიციული გლეხური  
მეურნეობები. ტურისტებს  
შესაძლებლობა აქვთ დასვენების  
პარალელურად კომფორტულ  
პირობებში გაეცნონ ტრადიციულ  
პროდუქტების შინ დამზადების  
ტექნოლოგიას, შესთავაზონ მათ  
ადგილზე დამზადებული ორგანული  
ნატურალური პროდუქტები.

სოფლის ტურიზმის განვითარების  
პროგრამის ფარგლებში „ელკანა“  
ხელს უწყობს ფერმერთა ჩართვას  
სოფლად ტურისტულ საქმიანობებში,  
მათვის დამატებითი  
შემოსავლების შექმნის მიზნით,  
იმავე პროგრამის ფარგლებში  
შეიქმნა სოფლის ტურიზმის ქსელი,  
სადაც გაერთიანდა 110 საოჯახო  
სასტურმო სახლის მფლობელი  
და ტრადიციული პროდუქტის  
მწარმოებელი. ქსელი დღეს  
საქართველოს 8 რეგიონს მოიცავს.  
სასტურმო სახლების მომსახურების

ხარისხის უზრუნველსაყოფად  
„ელკანამ“ საოჯახო სასტურმოების  
სტანდარტი დანერგა, რომელიც  
ევროპის ფერმერული და სოფლის  
ტურიზმის – „ევროულიტეს“ ძირითად  
მოთხოვნებს ემყარება.

### – რატომ ვირჩევთ

#### ბიომეურნეობას?

– საქართველო მდიდარი  
აგრარული მემკვიდრეობის ქვეყანაა,  
რომელიც ოდითგანვე სასოფლო-  
სამეურნეო ტრადიციებითა და  
ბუნებრივი მრავალფეროვნებით  
იყო ცნობილი. მართლაც, ჩვენი  
ქვეყნის მრავალფეროვანი  
გარემო პირობები ხელსაყრელია  
მრავალფეროვანი კულტურების  
მოსაყვანად. საქართველოს კარგად  
იცნობენ აქ წარმოებული მაღალი  
ხარისხის პროდუქტებით: ღვინით,  
ხილით და ბოსტნეულით, მაგრამ  
რთული მთავორიანი ლანდშაფტი  
და მინის ფრაგმენტაცია ვერ ქმნის  
იმის პირობებს, რომ ქართველმა  
გლეხმა წარმოების გაზრდით მიიღოს  
მოგება და კონკურენტუნარიანი იყოს  
გლობალურ სასაქონლო ბაზარზე.  
სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართულ  
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას  
გაუჭირდება კონკურენცია გაუწიოს  
ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის  
პირობებში წარმოებულ იაფ  
პროდუქციას, რითაც გაჯერებულია  
მსოფლიო ბაზარი და რომელთა  
ფასიც, ხშირ შემთხვევაში,  
შეიძლება მათი წარმოების ფასზეც  
მნიშვნელოვნად დაბალი იყოს სხვა  
ქვეყნებში არსებული სასოფლო-  
სამეურნეო სუბსიდიების ხარჯზე.  
მიგვაჩნია, რომ საქართველოს  
სოფლის მეურნეობა, სადაც

ტრადიციულად ქვეყნის სამუშაო  
ძალის ნახევარზე მეტია  
დასაქმებული, მაღალი ხარისხის  
ბიოპროდუქციის მწარმოებელი  
სფეროა, რამდენადაც ბიობაზარი  
ერთადერთი ბაზარია მსოფლიოში,  
რომელიც განუხრელად იზრდება  
ეკონომიკურ კრიზისისა და სხვა  
ბაზრების შემცირების ფონზეც კი.

მაგალითისთვის მოვიყანთ  
რამდენიმე ოჯახს გურიაში,  
სადაც დამსვენებელს საკუთარ  
მეურნეობაში ან ოჯახში მოყვანილ  
პროდუქტს სთავაზობენ. ერთი  
ოჯახი სტუმარს სთავაზობდა  
თვეზაობას, რადგან აქვს საკუთარი  
ტბა, სასტურმო სახლში ოჯახი  
მისდევს მეღვინეობას, სტუმარს  
უმასპინძლდება ნატურალური  
პროდუქტით, რეკომენდაციას უწევს  
სტუმარს მარშრუტის შერჩევაშიც.

ასევე საინტერესოა სოფელ  
მაკანებთაში ერთ ოჯახში  
შექმნილი „ეკომუზეუმი“. აქ  
მასპინძელმა საკუთარი ხელით  
შექმნა ტურისტული კომპლექსი  
დასასვენებელი სკამებით,  
გადასახედით, საბავშვო  
საქანელებით და ხის კოტეჯებით,  
ცალკე აქვს საზაფხულო  
სამზარეულო, სტურმებს შეუძლიათ  
ეზოში მოწყობილ კარვებში გაათიონ  
ღამე, რაც ბევრისთვის რომანტიკაა.  
ასეთი სახლები გვაქვს კახეთში,  
იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმისა და  
გურიაში.

– საინტერესოა, ძირითადად, რას  
შესთავაზებები ჩამოსულ სტურმებს  
სოფლად?

– სიამოვნებით ჩამოგითვლით  
რამდენიმე საინტერესო  
ლონისძიებას. მოგზაურობა ცხენით  
ან ქვეითად სოფლის შემოგარენში,  
სტურმების ჩართვა სოფლად  
ყოველდღიურ საქმიანობაში და  
აგრეთვე საოჯახო მეურნეობაში  
(შინაური ცხოველის მოვლა,  
მოსავლის დაბინავება და სხვა),  
რაშიც ტურისტები სიამოვნებით  
იღებენ მონაცილეობას, აგრეთვე  
ტრადიციული ხელსაქმის  
შესწავლა (ქსოვა, თექაზე  
მუშაობა, ხის ნაკეთობები),  
ქართული სამზარეულოს გაცნობა,  
მოგზაურობა, სოფლის ისტორიული  
ადგილების დათვალიერება და  
სხვა მრავალი რამ, რაც უცხოელ  
სტუმართა დიდ ინტერესს იწვევს  
ხოლმე.

მოგეხსენებათ – ტურიზმი სოფლად, როგორც ტურისტული შეთავაზების ფორმა, ჩამოყალიბდა დიდ ინდუსტრიულ ქვეყნებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ბელგია და სხვა, სადაც მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს თაობას, რომელსაც აღარ გააჩნია მჭიდრო ნათესაური კავშირები სოფლად. სოფლის გარემოში დასვენების მსურველი არჩევდნენ მიმზიდველ რეგიონებს ქალაქებარეთ, ქირაობდნენ საზაფხულო სახლებს, იხდიდნენ ქირასა და მომსახურების საფასურს. მასპინძელ ოჯახებს გაუჩნდათ ტურისტული შემოსავალი და დაინტერესება, რომ საქმიანობა საკუთარ საოჯახო ბიზნესად გადაექციათ.

ალსანიშნავია, რომ სოფლად ტურისტული მოღვაწეობა პირდაპირ უკავშირდება ადგილობრივ ინიციატივებს, ამიტომ სოფლის მცხოვრებთა მობილიზაცია საერთო მიზნის მისაღწევად არის წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

აგროტურიზმი სოფლის ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, რადგანაც აგროტურისტული მეურნეობები სუფთა გარემოში მდებარეობს, ისტორიული და კულტურული ძეგლების სიახლოეს. მეურნეობაში ადგილზე იწარმოება ტურისტების კვებისათვის საჭირო პროდუქციის 40 პროცენტი, შენარჩუნებულია პროდუქტების წარმოებისა და შენახვის ტრადიციული ტექნოლოგიები, როგორიცაა ქვერით და სათავგადასავლო მოგზაურობები, ეკოტურიზმი და სხვა.

**– დარჩეულებული ვარ, ამით ბევრი სამუშაო ადგილი გაჩრდება სოფლად.**

– რა თქმა უნდა. როგორც მოგახსენეთ სოფლის ტურიზმი დასვენების ისეთი ფორმაა, როდესაც ტურისტი ცხოვრობს სოფლად, იკვებება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით, მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ზოგიერთი მასპინძელი თავის სახლში აწყობს მცირე კემპინგებს. ტურისტებს საშუალება ეძლევათ ითევზაონ ან ინადირონ, მათ ტერიტორიებზე მოაწყონ ლაშქრობები კულტურული და ბუნებრივი კერების უკეთ მოსაწყობად. ადგილობრივი

მცხოვრებინი ამით თავიანთ სოფელს აშენებენ. განა ეს ცოტაა. ქმნიან რა სამუშაო ადგილებს, ტურისტების მიერ განეული დანახარჯებიდან იღებენ პირდაპირ ეკონომიკურ მოგებას. გარდა ამისა, სოფლად ტურიზმის განვითარება ამცირებს უმუშევრობას და ზრდის ადგილობრივი პროდუქტის გასაღების შესაძლებლობას. დღეს, როცა სოფლად ცხოვრების პირობები რთულია და ადგილობრივ მცხოვრებთა ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა, პროდუქტის გასაღებისა და ბაზრის მოპოვება და პროდუქტის პირველადი დამატებითი ღირებულების წარმოქმნის პროცესი შეიძლება მოიცავდეს ასევე სხვა მომსახურებას, როგორიცაა ტრანსპორტი, ლამის გათევა და სხვა. ტურისტულ მომსახურებასთან ერთად ეს ქმნის ე.წ პირდაპირი პროდუქტის დამატებითი ღირებულების ჯაჭვს, რაც მნიშვნელოვან ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის პირდაპირ შემოსავალს. რა გამოდის? დამსვენებლებს მენარმე სოფლად ტურისტულ მომსახურებასთან ერთად სთავაზობს ადგილობრივ ტრადიციულ პროდუქტს. ამ შემთხვევაში ეს ტურისტული პროდუქტი ადგილზევე რეალიზდება, ანუ მყიდველი თავად მიდის მომწოდებელთან, რაც ერთი მხრივ „ულევი ექსპორტის“ სახეა და სარეალიზაციო ხარჯებს

ამცირებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სოფლის ტურიზმი ევროპაში 1970 წლიდან იწყებს განვითარებას. ამჟამად ტურიზმის საერთო შემოსავლების 10-20 პროცენტს სწორედ სასოფლო ტურიზმი იძლევა. მისი პოპულარობა თქვენ წარმოიდგინეთ ზღვაზე დასვენებასაც კი უტოლდება, რადგან სოფლად დასვენებასაც სულ სხვა ხიბლი აქვს. საფრანგეთში, მაგალითად სოფლად ჩასული ტურისტების რაოდენობა ნინა წელს 7 მილიონს აღწევდა. ასევე ძალიან პოპულარულია სოფლის ტურიზმი იტალიაშიც, სადაც ადგილობრივი და მეზობელი ქვეყნებიდან ჩასული დამსვენებელი არდადებს სწორედ სოფლად ატარებენ. სამაგიეროდ, მათ იქ ხვდება კარგი გზები, გამართული საკომუნიკაციო საშუალებები, გლეხური სტუმართმოყვარეობა, საუკეთესო კვების პროდუქტები და მრავალფეროვანი სასმელები.

საქართველო, რა თქმა უნდა, ასეთ ქვეყნებს ვერ გაეჯიბრება, მაგრამ დარწმუნებული ვარ ტურისტები ჩვენთანაც სასიამოვნო დღეებს გაატარებენ.

**– ქალბატონო ნანა, ყველაფერი კარგია, რაც ჩვენ აქ დღეს ვისაუბრეთ, მაგრამ ერთიც უნდა გკითხოთ – დამსვენებელი გასაგებია, კმაყოფილი უნდა წავიდეს ჩვენგან, – ეს მთავარია, მაგრამ რა მოპყვება სოფლად ტურიზმის განვითარებას, რა**





### პერსპექტივა აქცს ჩვენს ქვეყანას ამასთან დაკავშირებით?

— უწინარესად უნდა აღვნიშნოთ ის, რაც ძალზე აუცილებელი და მნიშვნელოვანია ჩვენი ხალხისათვის — ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, მეორე ადგილობრივი ტერიტორიების წესრიგში მოყვანა, დასუფთავება, კულტურული მოწყობა, სხვადასხვა

მნიშვნელოვანი ობიექტების მოვლაა, მესამე — ინფრასტრუქტურის განვითარებაა, სასტუმროები, რესტორნები, სატრანსპორტო სისტემათა მოწესრიგება, სუვენირების წარმოება და გაყიდვა, გიდების მომსახურება, მეოთხე — ადგილობრივ ბიუჯეტში შემოვა უცხოური ვალუტა, მეხუთე — შემცირდება მოვრაცია, სოფლის

მიტოვება, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენთვის, მეექვსე — ძველი ტრადიციების აღდგენა და კიდევ ბევრი რამ. განა ყველაფერი ეს სოფელს არ წაადგება? სოფელი ხომ ქვეყნის ბურჯია? რაც მთავარია, სოფელი არ დაკინდება, არ დაცარიელდება, პირიქით — კიდევ უფრო აყვავდება და აღორძინდება. მოგეხსენებათ, ტურიზმი სოფლად, ეკოტურიზმი, ბუნების მოყვარულთა ტურიზმი, აგროტურიზმი და შემეცნებითი ტურიზმი მდგრადი ტურიზმის სხვადასხვა ფრთას წარმოადგენს. ტურიზმის ამ ფორმებს ერთი ძირითადი პრინციპი აერთიანებს — ეკონომიკური განვითარება ადგილობრივი რესურსის ზომიერი გამოყენებით.

მსოფლიოს მრავალი ტურისტული რეგიონის გამოცდილებიდან გამომდინარე ექსპერტები ასკვნიან, რომ ტურიზმის გეგმაზომიერი განვითარება უზრუნველყოფს ტურისტული ბაზრის, ადგილობრივი შემოსავლებისა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

**ნაზი იმპერიაზე**

### მავლევართა აზრით

## ეკოლოგიური რისკები და მოსავალი სუბტროპიკულ ზონაში

უკანასკნელი 20-25 წლის განძლივი დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში არ აღნიშნულა დიდოობლივობები და კატასტროფული ყინვები, თუმცა გლობალური დათბორის ფონზე რაილი ზამთრის, ცივი გაზაფხულისა და ცხელი, გვალვიანი ზაფხულის პირგებში მოსავლიანი მოვალეობა მოვალეობად მაშინ, თუ კულტურის აგროტექნიკა და ჯიშობრივი შემადგენლობა ყოველი კონკრეტული მიკროეკოლოგიური ზონისათვის ბუნებრივი პირობების შესაბამისადაა კორექტირებული.

საპაზრო ეკონომიკის პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა პროგრამული მოსავლის მისაღებად ფერმერულ

და გლეხურ მეურნეობებში აუცილებელია განხორციელდეს ურთიერთდაკავშირებული აგროტექნიკური, მელიორაციული და სამეურნეო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ნიადაგურ-კლიმატური პოტენციალის, ჯიშის ეკოლოგიურ-გენეტიკური შესაძლებლობების, შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ფერმერებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ სუბტროპიკული

კულტურების ზრდა-განვითარება და სტაბილური მოსავლიანობა კანონზომიერ კავშირშია ისეთ მნიშვნელოვან მეტეოროლოგიურ ფაქტორებთან, როგორიცა: ზამთრის კრიტიკული ტემპერატურები, ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ნალექების წლიური რაოდენობა და მათი განაწილების კანონზომიერება, საგაზაფხულო წაყინვების პერიოდულობა, ნიადაგის სითბური რეჟიმი, გვალვები, ცივი და ცხელი ქარების ზემოქმედების ხასიათი და სხვა.

სუბტროპიკული მემცენარეობის დარღვეული მრავალნობიანი სამეცნიერო და საწარმოო ხასიათის გამოკვლევების საფუძვლზე დადგენილია, რომ მოსავლიანობის

სტაბილურობის მიხედვით საქართველოს სუბტროპიკური ჩაის კულტურას აღტერნატივა არ გააჩნია. ჩაის კულტურის მოსავლიანობის სტაბილურობა ძირითადად მცენარის ბიოლოგიური თავისებურებითა და ნედლეულის მოხმარების ხასიათით უნდა აიხსნას. ძირითადი მოსავალი ჩაის ნედლი ყლორტები და ნაზი დუებია, რომლებიც ნაკლებად განიცდის არახელსაყრელი კლიმატური ფაქტორების ზემოქმედებას. რაც შეეხება სუბტროპიკულ ხეხილვან კულტურებს, აქ მოსავლიანობის განმსაზღვრელი მაჩვენებელი ნაყოფია, ხოლო ნაყოფის ფორმირება პირდაპირ კავშირშია მცენარის გენერაციული ციკლის (ბუტონზაფია, ყვავილობა, გამონასკვნა) წარმართვისათვის აუცილებელი მეტეოროლოგიური ფაქტორების ოპტიმიზაციასთან.

ჩვენი მრავალწლიანი დაკვირვებების საფუძველზე დადასტურებულია, რომ მკაცრი თოვლიანი ზამთრის შემდეგ, როდესაც მცენარეთა ვეგეტაცია იგვიანებს და იგი აპრილის მეორე დეკადიდან იწყება, საგაზაფხულო წაყინვებისაგან მიყენებული ზარალი უმნიშვნელოა, ხოლო რბილი ზამთრისა და ნაადრევი ვეგეტაციის პირობებში, როდესაც თებერვლის მესამე დეკადა-მარტისა და აპრილის თვეში ფაქტორივად მცენარები ვეგეტაციისა და გენერაციის აქტიურ ფაზაშია შესული, საგაზაფხულო წაყინვებისაგან მიყენებული ზარალი დიდია (მაგ. 2004, 2007, 2008, 2009, 2011, 2013, 2014, 2015 წლები). ყოფილა შემთხვევები, როდესაც საგაზაფხულო წაყინვებს მაისის პირველ დეკადშიც გადაუნაცვლებია, რასაც ჩაის ახალგაზრდა დუები, ვაზისა და ხეხილვანთა ნაზი ყლორტები და საყვავილე ბუტონები გაუნაცვლებია.

როგორც ცნობილია საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ყველაზე საშიშ მოვლენას ჩრდილოეთ კავკასიოდან შემოჭრილი ცივი ჰაერის მასების ხანგრძლივი ზემოქმედება წარმოადგენს (1949, 1969, 1985), თუმცა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ასეთი ხანგრძლივი ცივი

მასების შემოჭრა არ აღრიცხულა, თუ არ ჩავთვლით 2008 წლის 16-17 იანვარს, როდესაც ჩრდილო-დასავლეთიდან შემოიჭრა ხანმოკლე ცივი მასები, რომელმაც ლოკალურად მხოლოდ კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა რაიონში გამოიწვია დიდთოვლიანობა და ანომალიური მოვლენაც კი – გაიყინა პალიასტომის ტბა, თუმცა ცივი მასების ზემოქმედება არ გასცილებია ფოთი-ყულევის საზღვრებს. დანარჩენ რეგიონებში სუბტროპიკული კულტურები არ გაყინულა და დაზიანებულა.

გავიხსენოთ 2013 წლის დეკემბრის პირველი ნახევარი, რომელიც მეტად

მდე დაეცა. თოვლმა და დაბალმა ტემპერატურამ დააზიანა მოყვავილე მცენარეები, განსაკუთრებით დაზიანდა აქტინიდიის (კივი) და თხილის ახალგაზრდა სანაყოფე ყლორტები.

გლობალური დათბობის ერთ-ერთ უარყოფით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს 2014 წლის 4-5 ივნისს დასავლეთ საქართველოში განვითარებული ძლიერი ცხელი ქარიშხალი. სტიქიის ზონად გურიის რეგიონი გამოცხადდა. სტიქიამ დააზიანა ნაგებობები, დაამსხვრია ხე-მცენარეები, იყო მსხვერპლი. ძლიერმა ქარიშხალმა ჩამოყარა თხილის,



ცივი და ნალექიანი გამოდგა. 3-5 დეკემბერს სუბტროპიკულ ზონაში თოვლი მოვიდა, ტემპერატურა -3-5°C-მდე დაეცა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა ჯერ კიდევ დაუკრეფავ ციტრუსების ნაყოფებს. ნაყოფთან ერთად დაზიანდა მცენარის ახალგაზრდა ყლორტები და ფოთლები. დეკემბრის მეორე ნახევრიდან იანვრის ბოლომდე ამინდები შედარებით რბილი, თოვლისა და ყინვის გარეშე აღირიცხა. განსაკუთრებით დათბა 2014 წლის თებერვალში, რამაც გამოიწვია კურკვანი და თესლოვანი კულტურების ვეგეტაციის პროცესი ჩამოვარება. მარტის თვის პირველი და მესამე დეკადა სუსხიანი და ნალექიანი იყო, მესამე დეკადის დასასრულს 29-30 მარტს სუბტროპიკულ ზონაში (აჭარა, გურია, სამეგრელო) თოვლი მოვიდა (10-30სმ). ტემპერატურა -2-4°C-

ხეხილოვნებისა და კურკვების უმწიფარი ნაყოფები, დაამტვრია აქტინიდიის, ვაზის ყლორტები, გაანადგურა ბოსტნეული. ამავე წლის ივნისის მეორე ნახევრიდან, ივლისისა და აგვისტოს პირველი ნახევარი სუბტროპიკულ ზონისთვის უჩვეულო მაღალი ტემპერატურებითა და ტენის დეფიციტით აღინიშნა. ტემპერატურამ პიკს 11-12 ივლისს მიაღწია, როდესაც თერმომეტრი ჩრდილში 42-43°C, ხოლო მზეზე 53-54°C უჩვენებდა. მაღალმა ტემპერატურამ და მზის პირდაპირმა სხივებმა დაწვა მცენარეთა ფოთლები, ნაყოფები. მაღალ ტემპერატურას თან დაერთო ნიადაგში ტენის დეფიციტი. განსაკუთრებით ფერდობ ადგილებზე გაშენებულ სუბტროპიკულ ხეხილვან კულტურებში (ციტრუსები,

აქტინიდია, თხილი, ფეიხოა და სხვა) ნიადაგში ტენის დეფიციტის გამო აღინიშნა ნაყოფების მასიური ცენტონა, ფოთლებისა და ახალგაზრდა ყლორტების ჭკნობა. დგილი პქონდა ახალგაზრდა ნარგაობაში მცენარეთა მთლიან ხმობას.

ნოემბრის მესამე დეკადაში უხვნალექიანობასთან ერთად ზოგიერთ ადგილებში (აჭარა, გურია) აღინიშნა სეტყვა, რამაც დააზიანა ციტრუსოვანთა ნაყოფები, თუმცა საძაზლვევო კომპანიებმა ნაწილობრივ კომპენსირება გაუკეთეს დაზარალებულ ფერმერებს.

ამრიგად, 2014 წლის სავეგეტაციო პერიოდი თავისი კლიმატური მაჩვენებლებით

ზამთრის შემდეგ ძალზე ცივი და სუსხიანი აღმოჩნდა მარტი-აპრილი, მაისი და ივნისის თვე. ეს ის პერიოდია, როდესაც მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურები ბუტონიზაციის, ყვავილობისა და გამონასკვის ფაზაში იმყოფებიან. მეცნიერმა კლიმატურმა პირობებმა მთლიანად გაანადგურა ხეხილოვანი კულტურების ყვავილები და ნასკვები, სუბტროპიკული კულტურებიდან თითქმის უნაყოფოდ დარჩნენ აქტინიდიის, ფეიხოას ნარგავები, რაც შეეხება თხილს, მან შეინარჩუნა მდგრადობა და მოსავლიანობა, თუმცა ნესტიანმა და ცივმა კლიმატმა ხელი შეუწყო ნაყოფებზე სოკოვანი დაავადებების განვითარებას. მიუხედავად იმისა,

ტემპერატურული დაკვირვებების ისტორიაში ყველაზე ცხელი თვე იყო. ტემპერატურა რეკორდულ მაჩვენებლებზე ავიდა როგორც ხმელეთზე, ისე ოქეანეში. ივლისსა და აგვისტოში ანომალიური სიცხე დაფიქსირდა ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში, სიცხისაგან ასობით ადამიანი გარდაიცვალა, განადგურდა სასოფლო სამეურნეო კულტურები.

ხანგრძლივმა გვალვებმა ნიადაგში შექმნა ტენის მნიშვნელოვანი დეფიციტი. ივლისში, აგვისტოსა და სექტემბრის თვეში ნაცვლად მრავალწლიანი სამუალო – 600-700მმ ნალექებისა ფაქტიურად მოვიდა 100-150მმ, ისიც მხოლოდ ორ დღეს (6 და 23 აგვისტოს)

თქეშის სახით. გორაკ-ბორცვიან ადგილებში გაშენებული ერთნობიანი მარცვლოვანი (სიმინდა) და ბოსტნეული კულტურები მთლიანად გაანადგურდა, გაუჭირდა მრავალწლიან კულტურებს. გვალვები და ცხელი ტემპერატურა დაემთხვა თხილის მოსავლის აღებას. ნაყოფმა ვერ მოასწრო სრულყოფილი მომწიფება, რის გამოც მოსავლის დიდი ნაწილი დაიკარგა. ციტრუსოვან კულტურებზე ტენის დეფიციტის გამო განვითარდა წვრილი ნაყოფები, შეიმჩნევა ნაყოფების მასიური ცვენა.

რაც შეეხება ჩაის კულტურას, ჩამონათვალში ის ერთადერთია, რომელიც ყველა კულტურისაგან განსხვავებით გამძლეა ეკოლოგიური რისკების მიმართ. სამწუხაროა, როდესაც ასეთი ეკოლოგიური სიტუაციების ფონზე ამ კულტურას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, არადა ეკოსისტემა კიდევ უფრო დაძაბული და მკაცრი გახდება. ეს მომენტი საყურადღებო უნდა გახდეს ამ ზონაში დასაქმებული ფერმერებისათვის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისების პროცესში კულტურათა სწორი შერჩევა-შეთანაწყობის მიზნით. ამასთან ფერმერულ მეურნეობებში ასეთი კლიმატური მაჩვენებლების საპასუხოდ, ფართოდ უნდა იყენებდნენ ხელოებურ და ბუნებრივ მულჩს, მორნებულის სხვადასხვა სახეს, ნიადაგის ზედა ფენის ფხვიერ მდგომარეობაში შენარჩუნების აგროტექნიკურ



ძალზე არახელსაყრელი აღმოჩნდა სუბტროპიკულ რეგიონში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობისათვის. ჩვენი ნინასწარი გათვლებით მრავალწლიან სამუალო მაჩვენებლებთან შედარებით, ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთა გამო მოსავლიანობა შემცირდა: თხილის კულტურაში 30-40%-ით; ციტრუსებში 25-30%-ით; აქტინიდია 70-80%-ით; ფეიხოა 40-50%-ით; ხეხილოვნები 30-40%-ით; ვაზი 60-70%-ით; ბოსტნეული (სიმინდი) 20-30%-ით; ჩაი 15-20%-ით.

კიდევ უფრო არამდგრადი გამოდგა 2015 წლის სავეგეტაციო პერიოდი. უთოვლი და რბილი

რომ ციტრუსოვანი კულტურები გვიან მოყვავილე მცენარეებად ითვლება, ადგილი პქონდა ყვავილების და ნასკვების მასიურ ცვენას.

ამავე წელს დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულებში თითქმის ოთხთვიანი ცუდი კლიმატური პირობების შემდეგ, ივლისის მეორე დეკადიდან გამოიდარა. ამ პერიოდიდან მთელი ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში დღისით ჰაერის ტემპერატურა 32-36°C, ხოლო ღამით 22-28°C ფარგლებში მერყეობდა. 18-20 აგვისტოს ტემპერატურამ ჩრდილში 40°C, ხოლო მზეზე 43-44°C მიაღწია. ამერიკული ოკეანოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მონაცემებით 2015 წლის ივლისი

ღონისძიებებს, ქარსაფარ ზოლებს და ა.შ.


ბოლო სამი წლის კლიმატური პირობების დაწვრილებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში, სადაც განვიწოდა ეკოლოგიური რისკები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისება უნდა მოხდეს მხოლოდ მეცნიერულად შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე. ნიადაგის სრულყოფილი გამოკვლევა და კულტურათა სწორი შერჩევა უნდა განხორციელდეს ამ კულტურების აგროკულიმატური რისკების მიმართ გამძლეობის გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთაღნიშულ საკითხებზე სრულყოფილი

ინფორმაციის გაცემა მხოლოდ სოფლის-მეურნეობის სამინისტროს ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკის ცენტრ „ანასეულის“ (ოზურგეთი) ლაბორატორიას შეუძლია, ამავდროულად იგი უფლებამოსილია პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ფერმერებს მათთვის მტკიცნეულ პრობლემებზე.

**ზემო მასრობის,**  
სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი;

**რჩულის ტაძირი,**  
სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიური  
დოქტორი, ოზურგეთი, ანასეული.



## ხორბლის მავნებელი რეგისიზმაზი

ხორბლი (TRITICUM) ერთ-ერთი უპველესი კულტურული მცენარეა. ხორბლის გარევალი შეიცავს 13%-მდე ცილას, 60%-მდე ნახშირებას, 1,5% ციხმას, 30%ამინებას (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>6</sub>, P, PP, E – რომელიც ანტიოქსიდანტს წარმოადგენს), გაპრო და მიკროლევენტებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც სხვა კულტურული მცენარეები, ხორბალიც ზიანდება სხვადასხვა მავნე თრგანიზმით (მავნებლები, დაავადებები, სარეველები).

ხორბალზე გავრცელებულია სხვადასხვა სოკოვანი დაავადება, როგორიცაა: ხორბლის მტვრიანა გუდაფშუტა (Ustilago tritici Jens), ხორბლის მყრალი ანუ სველი გუდაფშუტა (Tilletia tritici Wint), ხორბლის ლეროს ჟანგა (Puccinia graminis Pers), ხორბლის მურა ჟანგა (Puccinia triticina Erikss), ხორბლის ყვითელი ჟანგა (Puccinia glumarum Erikss et Henn), ნაცარი (Erysiphe graminis DC), სეპტორიოზი (Septoria gramineum Des), ფესვის სიდამპლე (Ophiobolus graminis Sacc), ფუზარიოზი (Fusarium graminearum Schwabe), ჭვავის რქა (Claviceps purpurea Tul) და სხვა.

დაავადებებიდან გუდაფშუტები ყველა დანარჩენ სოკოვან ავადმყოფობათა შორის პირველი

ადგილზე დგანან, რადგან ამ დროს ისპობა მარცვალი, რაც უშუალოდ მოსავლის ოდენობაზე ახდენს გავლენას. გუდაფშუტიანი ხორბლიდან მიღებული ფქვილი დიდხანს არ ინახება, მალე ფუჭდება, შმორდება და უგემური პური ცხვება.

**ხორბლის მერალი ანუ სველი გუდაფშუტა (Tilletia tritici Wint)**  
ყველა დანარჩენ გუდაფშუტასთან შედარებით მას თავისი უარყოფითი ეკონომიკური მნიშვნელობით პირველი ადგილი უკავია. დაავადება ხდება თესლის გაღივების დროს. ავადმყოფი მცენარეები მწვანედ უფრო ძლიერ არიან შეფერილი, ვიდრე საღი მცენარეები. თავთავის სრული დაპურების დროს განსხვავება უფრო აშკარად ემჩნევა. დაავადებული, გუდაფშუტიანი მარცვალი თავისი სირბილის გამო ადვილად ისრისება და შედგება სველი, ნესტიანი შავი მასისგან. სოკოსგან იშლება მხოლოდ მარცვლის შიგნითა ნაწილი (კანი



მთელი რჩება). უკანასკნელს მყრალი სუნი უდის.

### ხორბლის მტვრიანა გუდაფშუტა (Ustilago tritici Jens)

საქართველოში ყველაზე არის გავრცელებული. ამ სახის გუდაფშუტას გარეგნული დამახასიათებელი ნიშნებია: მთელი თავთავი მთლიანად დაშლილია და გადაქცეული არის სპორებისგან შემდგარ შავ მტვრად. დაუშლელი რჩება მხოლოდ თავთავის მთავარი



ლერძი. ავადმყოფი მარცვლების ზედაპირი სალი მარცვლის ზედაპირთან შედარებით უფრო დანარქებული, აფშრუულია.

### ხორბლის ღეროს ზანგა (Puccinia graminis Pers)

მისი ფოთლები, ღერო და თავთავის ნაწილები დაფარულია ჟანგისფერი მეჭეჭებით. ხშირად,



ძლიერი დაავადების პერიოდში, ნესტიან ამინდებში მთელ ნათესებს ჟანგისფერი გადაპკრავს. ზაფხულის დასასარულს და ადრე შემოდგომაზე ჟანგისფერი თანდათან შავ ფერად შეიცვლება. დაავადებულ მცენარეს უხმება ფოთოლი, მარცვალი კარგად არ სრულდება, იფშრუება და წინითაც შედარებით ნაკლები გამოდის, ვიდრე სალი მცენარის მარცვლები. დაავადება მეტნილად ზაფხულის განმავლობაში ჩნდება.

### ხორბლის მურა ზანგა (Puccinia triticina Erikss)

უმთავრესად ფოთლების დაზიანებას ინვევს. პურის დანარჩენ



ჟანგებთან შედარებით მას ყველაზე დიდი გავლენა აქვს მცენარეზე, რამდენადაც მათი დაავადება ადრე, აღმოცენების დროიდანვე იწყება და გრძელდება მცენარის დათავთავებამდე. ეს სოკო გვხვდება შემოდგომის ნათესებზე. ხორბლეულის ფოთლებზე მრგვალ მეჭეჭებს აჩენს. დასაწყისში ალაგ-ალაგ ჩნდება. ძლიერი განვითარების შემთხვევაში მეჭეჭები იმდენად ხშირია, რომ მთელი ფოთლის

ფირფიტას ფარავს. ფერით ჯერ მოყვითალო მურაა, შემდეგ კი შავდება. მეჭეჭები პირველად ქვედა ფოთლებზე ვითარდება, შემდეგ ზედა ფოთლებზე გადადის. დაავადების გაძლიერება შემჩნევა ძირითადად გაზაფხულზე.

### ხორბლის ყვითელი ზანგა (Puccinia glumarum Erikss et Henn)

ყვითელი ჟანგა მეტად მნიშვნელოვანი დაავადებაა. აქაც მცენარის დაავადება განვითარების ადრეულ სტადიებში ხდება და დათავთავებამდე ძლიერდება. ხშირა შემთხვევები, როდესაც ყვითელი ჟანგას მეჭეჭებით ფოთლები მთლიანადაა დაფარული და შემდეგ ხმება. ზოგჯერ მცენარის ცარიელი ღერო და თავთავილაა შერჩენილი. მეჭეჭები, გარდა ფოთლებისა, თავთავის ნაწილებზეც გვხვდება, ძირითადად კილებზე.



მეჭეჭების მწკრივად განლაგებით, მკაფიოდ გამოხატული ყვითელი ფერით და ხაზების სინკრილით ყვითელი ჟანგა ადვილად გამოსაცნობია.

### ხორბლის ფუზარიოზი (Fusarium graminearum Schwabe)

დაავადება ჩნდება თავთავის კილებზე და ღეროებზე თეთრი მიცელიუმის ფიფქის სახით, რომელიც თანდათან მოწითალო-პირისფერი ხდება. სოკო ქსოვილების სილრმები ალწევს, არღვევს თავთავის კილებს და გადადის მარცვალში. დაავადებული მარცვალი სალთან შედარებით მომცროა, აფშრუული და წინითაც ნაკლებია. თუ ფუზარიუმით



დაავადებული მარცვალი ბევრია დასაფევავ ხორბალში, შეიძლება გამოიწვიოს „სიმთვრალის“ მოვლენა, რადგან სოკო პურში შემავალი ცილოვანი ნივთიერებების დაშლას იწვევს, საიდანაც შხამები წარმოიქმნება. მისი პურად გამოცხობა დაუშვებელია (მინარევში 1%-ს არ უნდა აჭარბებდეს).

### ჭავში რება (Claviceps purpurea Tul)

მათრობელა პურის ერთ-ერთი მიზეზთაგანია. ეს სახელწოდება იმიტომ ენოდა, რომ დაავადებული მარცვალი თავთავიდან რქასავითაა



ამოშვერილი, თავთავი სწორია ან ოდნავ მოხრილი და მუქ იისფრად შეფერილი. დაავადებული მარცვალი შემდგარია სოკოს მტკიცედ შეზრდილი ქსოვილისაგან. დაავადება ადრე გაზაფხულზე ხდება. ფეილდ გადამუშავებსათვის მარცვლის მინარევში მისი შემცველობა 0,1%-ს არ უნდა აჭარბებდეს.

გუდაფშუტების წინააღმდეგ ხორბლის თესლს წინასწარ წამლავენ ქიმიური პრეპარატებით; ჟანგებისა და სხვა სოკოების წინააღმდეგ გამოიყენება სხვადასხვა სისტემური და კონტაქტური ფუნგიციდები.

ხორბლის უმთავრესი მავნებლებია: ამიერკავკასიის პურის ბზუალა (Zabrus tenebrioides elongatus), მავნე კუსებურა (Eurigaster integriceps), ხორბლის თრიფლი (Haplothrips tritici), მარცვლეულთა ხვატარი (Apamea sordens), შევდური ბუზი (Oscinella frist), აზიური ანუ გადამფრენი კალია (Locusta migratoria), მაროკოული კალია (Dociostaurus maroccanus), იტალიური კალია (Calliptamus italicus), ჭია-ნურბელა (Lema melanopus), მღრღნელები და სხვა. მათგან ხორბალს ძლიერ აზიანებს ამიერკავკასიის პურის ბზუალა (Zabrus tenebrioides elongatus).

პურის გზუალა (Zabrus tenebrioides elongatus) ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. გაზაფხულზე, როდესაც პაერის საშუალო ტემპერატურა 11-120-ს



მიაღწეს, გამოზამთრებული მატლები კვებას იწყებენ შებინდებიდან დილამდე. ისინი აგროვებენ ჯეჯილის ფოთლებს, ძენძავნ, რის გამოც ფოთლებისაგან მხოლოდ ძარღვებილა რჩება. მოღრუბლულ ამინდში მატლები შეიძლება დღისითაც იკვებებოდნენ, მონმენდილ ამინდში კი ისინი თავიანთ სოროებში იმატლებიან. თუ მავნებლის დასახლების სიხშირე დიდია, კალო-კალო შიშველი ლაქები წარმოიშობა, რის გამოც მატლი ახალ ხვრელს რამდენჯერმე იკეთებს.

#### მავნე კუსებურა (*Eurygaster integriceps*)

მავნე კუსებურა მთელ საქართველოშია გავრცელებული. დაზიანება ადრე გაზაფხულიდან იწყება, როდესაც მწერი ხორბლის, ქერის, ჭვავის და სხვა ჯეჯილს მიეძალება და უმთავრესად დეროს ფუძეს აზიანებს. წუნის ადგილები



იმით შეიმჩნევა, რომ ნაჩხვლეტი ადგილებიდან ურნავს მცენარის წვენი, რომელიც ჰაერზე თანდათან მაგრდება. კუსებურა თავთავსაც აზიანებს, რის გამოც თავთავი თეთრ ფერს იღებს, ხოლო ლერო ძლიერ დეფორმირდება, დაზიანებული მცენარე ყვითლდება და ზოგჯერ ხმება კიდეც. კუსებურა თავის განვითარების აქტიურ ფაზებში მარცვალსაც აზიანებს.

**ხორბლის თრიფსი (*Haplorthrips tritici*)** გავრცელებულია ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში და საკმაოდ დიდი ზიანის მომტანია. გაზაფხულზე, როდესაც მატლები მეზამთრეობიდან გამოდიან, ისინი ამოდიან ნიადაგის ზედაპირზე და კვებას იწყებენ ჯერ შემოდგომის ჭვავის ჯეჯილით, შემდეგ გადადიან

საშემოდგომო ხორბალზე. მარცვალს აზიანებენ თავთავებში. თრიფსებით დაზიანებული მარცვალი ფშუტეა, ხოლო მისგან გამომცხვარი პური – უყუათო.

ვეგეტაციის პერიოდში მწერების წინააღმდეგ გამოიყენება კონტაქტური და სისტემური ინსექტიციდები, მრღველების წინააღმდეგ – როდენტიციდები, რადგან ისინი მოსავლის რაოდენობაზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენენ.

ხორბლის ნათესებში გავრცელებულია სხვადასხვა სარეველები: შვრიუკა (*Avena fatua* L.), ძურნა (*Setaria*), ხეართქლა (*Convolvulus arvensis* L.), ნარი (*Cirsium*), მინდვრის მდოგვი (*Sinapsis*



*arvensis*), ყანის ჭლექი (*Fallopia convolvulus*), ბურჩხა (*Echinochloa crus-galli* L.), საგველა-ცოცხა ბალახი (*Apera cypica-venti* L.) და სხვ.

სარეველები ინვევენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის შემცირებას, დაავადებების განვითარებას და მავნებლების გავრცელებას, ნათესების ჩანობლას. შხამიანი სარეველები შეიცავს აღკალოიდებს, საპონინებს, გლიკოზიდებს, ორგანულ მუჟავებს და როდესაც მათი თესლი შეერევა ხორბალს, ფქვილი უგემური და მწარე გამოდის.

#### შვრიუკა (*Avena fatua* L.)

ერთწლიანი მარცვლოვანი სარეველაა, ძალიან ჰგავს შვრიას. იგი იზრდება ძირითადად მძიმე, კარბონატულ, ზომიერად ტენიან თიხნარ და თიხა ნიადაგებზე. შვრიუკა აღმოცენდება



გაზაფხულზე, ყვავილობს ზაფხულში; ფოთლები ხაზურა აქვს, მუქი მწვანე ფერის, ლეროს სიმაღლეა 50-120 სმ.

თესლის რაოდენობა ერთ მცენარეზე 200 (500-1000) ცალია.


#### ხვარიქლა (*Convolvulus arvensis*)

**L)** მრავალწლიანი ფესვნაყარი სარეველაა. უპიტარესობას ანიჭებს საკვები ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგს, შხამიანი მცენარეა, შეიცავს აღკალოიდებს, დიდი დოზით



იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებას, დამბლას და სხვა. ხვართქლა აღმოცენდება გაზაფხულზე. ყვავილობის დრო. ადრე გაზაფხული – ადრე შემოდგომაა, ივითარებს ხვარა ლეროს 1-3 მ სიგრძით, ფოთლები – წაგრძელებულ-კვერცხისებური, ყვავილი ძირითადად თეთრი ფერისაა. თესლის რაოდენობა ერთ მცენარეზე დაახლოებით 500 ცალია.

**ნარი (*Cirsium*)** მრავალწლიანი, ორლებნიანი, ფესვნაყარი სარეველაა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან, შხამიანია, შეიცავს აღკალოიდებს. იგი იზრდება დაახლოებით 1,5 მეტრამდე; ფოთლები ეკლიანია,



დაკბილული; ყვავილები მოიისფროა; თესლი წვრილი, რუხი ფერის, ქარით შორ მანძილზე ვრცელდება.

სარეველების წინააღმდეგ გამოიყენება აგროტექნიკური და ქიმიური ბრძოლის ღონისძიებები.

**ნინო დათუაზვალი**, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ფიტოპათოლოგიის ლაბორატორიის მთავარი სპეციალისტი;

**გაია ვიორგოლი**, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ენტომოლოგიის ლაბორატორიის მთავარი სპეციალისტი.

# რა სამიზროებას წარმოადგინს მღრღლებები და რობორ ვებრძლოთ გათ



მღრღლნელები გამოირჩევიან სწრაფი გამრავლების უნარით, განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში (როგორიც წელს არის კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში). წყვილ ვირთაგვას ნამატით წელინადში შეუძლია მიიღოს 800 ნაშიერი, ხოლო თავისი სიკოცხლის სამი წლის განმავლობაში 20 მილიონზე მეტი. დედალი ვირთაგვა წელინადში 4-6 ჯერ მშობიარობს და ჯერადობაზე შობს 10-12 წრუნუნას, მაკეობა გრძელდება 21-25 დღე. წრუნუნები 3-4 თვის შემდეგ იწყებენ გამრავლებას.

მემინდვრიები მრავლდებიან უფრო სწრაფად, სქესობრივ სიმწიფეს აღწევნ დაბადებიდან 30-ე დღეს. მაკეობა გრძელდება 18-20 დღე, ხოლო წრუნუნების რაოდენობა ბუდეში 8-10-ია, ერთი და იგივე დედალმა მემინდვრიამ შეიძლება ყოველთვიურად მისცეს შთამომავლობა.

4 მემინდვრიას (2 დედალი, 2 მამალი) თავიანთი ბუდობებით, კარგი პირობების ზეგავლენით, შეუძლია შთამომავლობა წელინადში 2 მილიარდად გაზარდოს.

ვირთაგვები და თავგვები ადამიანისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის სერიოზულ საშიშროებას ქმნიან, მეტად საშიშია მრავალი ინფექციური და ინვაზიური დაავადებების გავრცელებაში, როგორიცაა: ჭირი, ციმბირული წყლული, ცოფი, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, ტულარემია, აუესკა, ნითელი ქარი, თურქული, ტრიქინელოზი და სხვა დაავადებები.

ზოგიერთი დაავადებებით (ჭირი, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი და სხვა) მღრღლები თვითონ ავადებიან, რითაც ისინი გარემო არეში მიმოაბნევენ ამ დაავადებების აღმძვრელებს. ვირთაგვები და თავგვები ნარმოადგენენ მრავალი დაავადებების აღმძვრელთა მუდმივ წყაროსა და რეზისუარს. ისინი ეპიდემიოლოგიურად და ეპიზოოტიურად ქმნიან საშიშროებას, რაც გამოხატულებას პოულობს მრავალი ინფექციური და ინვაზიური დაავადებების მატარებლობასა და გადატანაში.

მღრღლნელები განსაკუთრებით დიდ ეკონომიურ ზარალს სოფლის მეურნეობას აყენებენ, ანადგურებენ

ეს შემდეგ, რაც სამარცვლე ფართობაზი საღებავობი შესუსტდა, მავნებელი მღრღლებები (პირთაგვები, თაგვები, ხამიდვრიები, ზაზუნი და სხვა) მორჩავლდნენ. თითოვაული მათგანი სანიტარული თვალსაზრისით საშიში არიან და მიმდინარეობა ეკონომიკურ ზარალს აზინვინ ფარმარულ გაურვეობას.

საკვები პროდუქტებისა და ფურაჟის დიდ რაოდენობას, ნათესებს, მოსავალს. ერთი ზრდასრული ვირთაგვა დღე-ლამეში 50გრ. მარცვლეულს ჭამს, რაც წელინადში შესაბამისად, შეადგენს 18კგ-ს. თაგვი დღეში 4გრ. მარცვლეულს ჭამს, წელინადში – 1,5 კგ-ს. 10000 ვირთაგვა – 180 ტ-ს, ხოლო 10 000 თაგვი კი 15 ტონას. თუ გავითვალისწინებთ მათი სიმრავლის შესახებ ზემოთ დასახელებულ მონაცემებს, დასკვნის გამოტანა ადვილია, თუ რა რაოდენობის მარცვლეულის განადგურება შეუძლია მღრღლნელს წელინადში.

გამანადგურებელი ღონისძიებები მღრღლების წინააღმდეგ ტარდება ქიმიური, მექანიკური, ბიოლოგიური და კომბინირებული მეთოდებით.

ვფიქრობთ, ამჟამად შედარებით უკეთესი საშუალება არის თანდათან მოქმედი შხამები ანტიკოგულანტები: რეთს-ქილერი და რატექსი.

ანტიკოგულანტებს აქვთ გარკვეული უპირატესობა ძლიერმოქმედ შხამებთან შედარებით. ისინი ისეთი მცირე დოზებით გამოიყენება, რომ ფაქტობრივად მათი სწორი გამოყენების შემთხვევაში შინაური ცხოველების მოწამვლა გამორიცხულია. გარდა ამისა, აღნიშნულ შხამებს აქვთ საკუთარი შხამასაწინააღმდეგო ვიტამინი “K”.

ანტიკოგულანტები გამოიყენება როგორც მზა სახით (რეთს-ქილერი), ასევე, საკვებ მისატყუებებელში (რატექსი), წყლიან მისატყუებებელში. ძლიერმოქმედი შხამები ასეთი მრავალნაირი გამოყენებით არ ხასიათდებიან.

გარდა ამისა, ძლიერმოქმედი შხამიანი მისატყუებელი (თუთიის ფოსფიდი) ხშირად მღრღლების ორგანიზმში ინვეცს დამცველობით – რეფლექსურ რეაქციას, ზოგიერთი ვირთაგვა ნაადრევად უარყოფს მისატყუებელს, ვიდრე მიიღებდეს შხამის სასიკვდილო დოზას. მისატყუებელი ანტიკოგულანტებით ასეთ რეაქციას არ ინვეცს, რასაც მივყავართ დერატიზაციის უკეთეს შედეგამდე.

სადერატიზაციო სამუშაოების დროული და ეფექტური ჩატარება ჩვენს მოსავალს განადგურებისგან დაიცავს!

თავგვისნაირი მღრღლების სრულ ლიკვიდაციას შეიძლება მივაღწიოთ იმ შემთხვევაში, თუ პროფილაქტიკური და გამანადგურებელი ღონისძიებები გატარდება ერთდროულად მღრღლებით დასახლებულ ყველა იბიექტზე (ფერმები, საწყობები, მინდვრები-მთლიანი ფართით). დიდი მნიშვნელობა აქვს დამუშავების ტექნოლოგიას.

და ბოლოს, მინდა კიდევ ხაზი გაუსვა ეკონომიურ ზარალს, რომელიც შეიძლება ოთხმა წყვილმა მემინდვრიამ ხორბლისა და სიმინდის ნათესებს ერთ ნელინადში მიაყენოს. ოთხ წყვილ მემინდვრიას თავისი ნამატით ნელინადში შეუძლია გაანადგუროს 8000 ტონა (2000-4000 ჰა ფართობი) მარცვალი, ხოლო წყვილ ვირთაგვას ნელინადში 1000 ტონა.

გარდა ამისა, ისინი თითქმის მთლიანად ანადგურებენ ახლადამოსულ მწვანე ჯეჯილს. არ გავიმეორებთ იმ ეპიდემიოლოგიურ საშიშროებაზე, რომელიც შეუძლია მავნე მღრღნელებმა ადამიანს მოუტანოს.

**მხედვა მიზანის,**  
ბიოლოგიის დოქტორი  
agro.ge



## სასარგებლო კულტურები

# კულტურული წყავი - სასარგებლო მცენარე

ალანიური გლობალური დათვობის შედეგად გამოცვეული აგრძლივარული რისკების ფონზე დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში გვიჩვრილ კულტურული ნარჩისები მოუსავლიანი ხდება. განსაუთრევით კურკვევები და თესლოვებები, რომელებიც ჭავავილობის ფაზაში (მარტი-აპრილი) განხშირებული საგაზაფხულო ცაყინვების, დაბალი ტიპარის ურჩევისა და მოზარდებული ტენი-ანობის შედეგად ნაიღლობის ან მთლიანად ყარგავენ მოსავალს. ასეთი არახელსაყრდელი პირობების მიზართ შედარიგით გამძლი კულტურას მიეკუთვნობა ცხვპი.

კულტურული წყავის (*Laurocerasus officinalis*) სამშობლო მცირე აზიასთან ერთად საქართველოა. როგორც ცხებილოვანი მცენარე წყავის კულტურული ფორმები ძირითადად დასავლეთ საქართველოშია ცნობილი, თუმცა ერთეული ნარგაბის სახით ის აღმოსავლეთ საქართველოს პევრ რეგიონში შეინიშნება.

წყავის ნაყოფები გამოიყენება ნედლი სახით, ასევე საუკეთესო მურაბების დასამზადებლად, გამოიყენება გულ-სის-სლაბარლვთა დაავადებების სამკურნალოდ. წყავის ნაყოფისაგან და ფოთლებისაგან მედიცინაში თორმეტამდე სახის პრეპარატი მზადდება. უკანასკნელი გამოკვლევებით წყავის ნაყოფში შემავალ ნივთიერებებს გააჩნიათ უნარი, ადამიანის ორგანიზმში გააუზენებელყონ მავნე რადიოატიური ნივთიერებანი. წყავის მცენარე, რომელიც მარადმნება და ზომიერი კლიმატური პირობების მიმართ გამძლეა, წარმატებით შეიძლება გამოიყენებული იქნას ქარსაფარ ზოლებში, დეკორაციულ ნარგაბაში, წყავის ფოთლების ფიტონიკიდური თვისებების გამო იგი ხშირად ეზორებში დასასვენებელი ფანჩატურების, ღვინის მარნების საუკეთესო საჩრდილობელი მცენარეა. ასევე მისი ტოტები, ფოთლები იხმარება სარდაფებში ციტრუსოვანთა ნაყოფების შენახვისას საფენებად, რითაც სუსტდება სოკოვანი დავადებების გავრცელება და ნაყოფების ლპობა.

კულტურული წყავი მარადმნება 10-12 მ სიმაღლის ხეა. ტოტები გლუვია და მოქნილი, მერქანი მკვრივი, კარგად უძლებს თოვლის სიმძიმეს, ფოთლები მუქი მწვანე, დიდი ზომის, გლუვი, ტყავისებრი, ყვავილები თეთრი, წვრილი შეკრულია სანორმდებო მტევნებად. ყვავილობს გაზაფხულზე აპრილის დასაწყისში მაისამდე, ნაყოფი წვრილიდან მსხვილამდე, წვნიანი, კურკანი, მოვარდისფრო თეთრიდან შავამდე. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში აკადემიკოს ტა-

რას კვარაცხელიას მიერ აღწერილია რამდენიმე ჯიშ-ფორმა. 1985-1990 წლებში ასპირანტ ვახტანგ მჭედლიძის მიერ დასავლეთ საქართველოს მასშტაბით შესწავლილია წყავის სამეურნეოდ ვარგისი ფორმების ბიოეკოლოგია და გამოყოფილია საუკეთესო ჯიშ-ფორმები: მათ შორის: 1. შავნაყოფა ტებილი წყავი „ნაკიფუ“, რომელიც გავრცელებულია ნალენჯიხის რაიონში. 2. თეთრნაყოფა ტებილი წყავი, ასევე გავრცელებულია ნალენჯიხის რაიონში; 3. ფორმა №14 შავნაყოფა „ჩლოუ“, რომელიც შერჩეულია ოჩამჩირის რაიონის სოფ. ჩლოუში ფხავაძის საკარმიდამო ნაკვეთზე. 4. ფორმა №28 ნითელნაყოფა მსხვილი, გამოყოფილია ჩაქვის ფილიალის ტერიტორიაზე; 5. ფორმა №29 – შავნაყოფა ტებილი, გამოყოფილია საჩხერეში სააკიანის საკარმიდამო ნაკვეთზე. 6. ფორმა №33 – მოვარდისფრო, გამოყოფილია სოფ. ნაკიფუში ნალენჯიხის რაიონი; 7. ფორმა №40 – შავნაყოფა ნარაზენი, გამოყოფილია ზუგდიდის რაიონის ს. ნარაზენში შულაიას საკარმიდამო ნკვეთზე.

ყველა ზემოთჩამოთვლილი ჯიშ-ფორმა დადებითი სამეურნეო ნიშან-თვისებებით ხასიათდება: უხვი და რეგულარული მსხმიარობა, ნაყოფის სიდიდე. ბიოქიმიური კვლევისას გამოვლინდა, რომ ადგილმდებარეობისდა მიხედვით ნაყოფის რბილობი შეიცავს მშრალ ნივთიერებას 20,0-დან 25,0%-მდე; ვიტამინ „C“ 30,0-50,0 მგ%; მთრიმლავ ნივთიერებებს 350-420 მგ%; შაქრებს – 14,0-17,0 %. ნაყოფის სიმ-



წიფის პერიოდი ყველა ფორმებისათვის დახლოებით თანაბარია ივლისის პირველიდან – მესამე დეკადამდე. აქტიური სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა წყავის მცენარეზე დასავლეთ საქართველოს პირობებში შეადგენს 145-187 დღეს, ხოლო ამ პერიოდში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 2300-2900 აღწევს.

როგორც აღვინეთ წყავი ენდემური მცენარეა, მისი ველური ფორმები უხვადაა ნარმოდგენილი მაღალმთიანი ზონის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობებზე წიფლნარების ქვეტყის სახით. ბუნებრივია, მცენარე გამრავლების მაღალი ცხოველმყოფელობით ხასიათდება. კვლევებით დადასტურდა, რომ თესლის გაღივებას 5-7 თვე სჭირდება. საველე აღმოცენება 47,5-72,9 % შორის მერყეობს, ამასთან მიღებული ნათესარებიდან გაშენებული მცენარეები ჭრელია, მათ ახასიათებთ მემკვიდრული ნიშან-თვისებების მკვეთრი დათიშვა, აქტიურ გამომდინარე სამეურნეოდ ვარგისი კულტურული ფორმების მისაღებად აუცილებელია ვეგეტატიური გამრავლება.



ჩვენს მიერ ცდები ჩატარებული იქნა ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ბაზზე გაშენებული 25-30-წლიანი კულტურული წყავის სადედე მცენარეებზე. გამოცდილი იქნა მწვანე კალმების რეგენერაციის უნარიანობა გაზაფხულზე (აპრილი) და ზაფხულის (აგვისტო) დაკალმების ვადებში. შედეგები მოტანილია ცხრილში.

#### კულტურული წყავის დაფესვიანების მაჩვენებლები (დაკალმება აგვისტოში)

დაკალმების ადგილი	კალმების რაო-ბა ცალი	დაფესვიანდა		გამა		დაფესვიანების ხანგრძლივობა, დღე	ნაბარდის საშუალო სიმაღლე, სმ
		ცალი	%	ცალი	%		
დაკალმება პოლიეთ-ლენის ქოთნებში ბუნებრივ სათბურში	50	36	72	14	28	37	13
დაკალმება ლია გრუნტში დაჩრდილვით	50	24	48	26	52	53	18

როგორც მონაცემები გვიჩვენებს ბუნებრივი სათბურის პირობებში (დაბალი ზომის კარკასები, დახურული პოლიეთოლენის ფირნითა და საჩრდილობელი მარლით), სადაც კალმების დატენინება ხდებოდა წვრილდისერსიული წყლის შესურებით წყავის ორფოთლიანი კალმების დაფესვიანებამ 72-75 % შეადგინა. დაფესვიანების ხანგრძლივობა 37-40

დღით განისაზღვრა, ხოლო იგივე კალმების უშუალოდ დია გრუნტში (კარგად დამუშავებული წითელი მინის ფენა) ზედაპირული დაჩრდილვითა და რწყვით დაფესვიანებამ 45-50 %-ს მიაღწია. ამ ვარიანტზე დაფესვიანების ხანგრძლივობამ 50-53 დღე შეადგინა.

რაც შეეხება საგაზაფხულო დაკალმების ვადას (აპრილი) აქ კანონზომიერება დახლოებით იგივეა, თუმცა მისი უპირატესობა ისაა, რომ დაფესვიანებული კალმები ადრე იწყებენ ვეგეტაციას და ნლის ბოლოსათვის 15-20 სმ სიმაღლეს აღწევენ.

აქტიურ გამომდინარე კულტურული წყავის სტანდარტული ნერგების მისაღებად შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც წინა წლის, ისე მიმდინარე წლის ნაზარდები აჭრილი 2 კვირტითა და ორი ფოთლით, რომელიც დაკალმების წინ სანახევროდ იკვეცება. სუბსტრატად ვარგისია ფეხიერი წითელმინისა და სილის ნაზავი 2:1-თან, ან უშუალოდ კარგად დამუშავებული ღია გრუნტი. დაფესვიანების ოპტიმალური ტემპერატურაა: ჰაერის 25-28°C; ნიადაგის 20-22°C; ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 80-90°C; დაფესვიანებული ნერგების ზრდის დასაჩერებლად რეკომენდებულია აზოტისა და ფოსფორის მცირე კონცენტრაციის სსნარით პერიოდული მორნყვა. სტანდარტულ ნერგს უნდა ახასიათებდეს კარგად განვითარებული ფეხითა სისტემა და 30-35 სმ-ის სიმაღლის დერო, ერთი ან ორი გვერდითი ტოტით.

მუდმივ ადგილზე გასაშენებლად იღებენ 40X45 სმ სიღრმის თრომს, რომელშიც შეაქვთ 10 კგ გადამწვარი ნაკელი, 150 გრ ფოსფორისა და 100 გრ კალიუმის მარილი. ყველა კომპონენტს ერთმანეთში აურევენ მინასთან ერთად, ნერგს მინის კოშტით ათავსებენ ორმოში, აყრიან მინას, ტკეპნიან და რწყავენ. ნერგს დაუსაბენ ჭიგოს და ააკრავენ. ნერგების რგვა შესაძლებელია შემოდგომით ოქტომბერ-ნოემბერში და გაზაფხულზე თებერვალ-მარტში. წყავის ფოთოლს ეტანება პირუტყვა, ამიტომ ნარგაობა დაცული უნდა იქნეს ცხოველებისაგან. მსხმოიარობაში შედის მე-4-5 წლიდან. სრულასაკოვანი წყავის მცენარის საშუალო მოსავლიანობა 30-50 კგ-ს შეადგენს, თუმცა არიან ფირმები, რომელთა მაქსიმალური მოსავლიანობა 80-100 კგ-ია ერთ ხეზე.

წყავის მცენარის კულტურაში ფართოდ გავრცელებას აბროლებს სხვადასხვა ფაქტორები, რაც განპირობებულია წმინდა მეურნეობრივი (კომერციული) მოსაზრებებით და თუნდაც კულტურათა შორის კონკურენციით, თუმცა სრულიად დასაშვებია მოყვარულ მეხილეობაში მისი აქტიური ჩართვა თუ გინდ იმ დადებითი თვისებების გამო, რაზედაც ჩვენს მიერ ზემოთ იყო აღნიშნული.

ფერმერულ მეურნეობებში წყავის კულტურული ფორმები შესაძლებელია გაშენდეს ერთეული ხეების, კორომების ან მწკრივების სახით. მაგალითად, ციტრუსების, კივის (აქტინიდია) ნარგაობის ირგვლივ ამ კულტურის გაშენება დამატებით ხომ ქარსაფარი ზოლის ფუნქციასაც შეასრულებს, ხოლო ფერდიბ ადგილებში მისი გამენება ნიადაგის კარგი გრუნტის ზომის მინის ფენა და დაგვავინუდეს ისიც, რომ წყავის ნაყოფი გარეული ფრინველების საუკეთესო საკვებადა. ჩვენი მიზანი ხომ ფირნითა და ფაუნის შენარჩუნება-გადარჩენა. დას ასეთ უნუკალურ მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება წყავი. ნუ დავიწინებთ მას, ვიზუალურ მისი არეალის გასაფართოებლად.

**ზორ გაპრინციპი,**  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი;  
**მთევარ ჩიაბუა,**  
ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

# პირშუშხას

## [COCHLEARIA ARMORACIA]

პირშუშხას ანარმოებენ როგორც  
სანელებელს. საკვებად გამოიყენება მისი  
თეთრი ძირი, როგორთაგანაც ამზადებან  
სანივალს ძრის და ნიღრის დაბაზებით.  
ასევე პირშუშხას დანაყილ ძირებს უმატებენ  
სხვადასხვა საჭაოებს, რაც გათ საეციფიურ  
ცხარე გემოს და არომატს აძლევს.



### გიოლოგია.

პირშუშხას ჯვაროსანთა ოჯახის  
ნარმომადგენელი მრავალნიშიანი  
მცენარეა. მისი ფოთლები გრძელია,  
ელიფსური, კრიალა ზედაპირით.  
ივითარებს მსხვილ ფესურას,  
ძირების დიდი რაოდენობით,  
რომელთა სისქე საშუალოდ 10  
სმ, ხოლო სიგრძე კი საშუალოდ  
60 სმ-ია. ძირები დატოტვილია  
მრავალი წვრილი ფესურების სახით,  
რომელებიც ნიადაგში ხანდახან  
რამდენიმე მეტრის სიგრძეზეც  
ვრცელდებიან.

მსხვილ ძირებზე მოთავსებულია  
მძინარე კვირტები. მძინარე კვირტს  
შესაბამისი პირობების დაფგომისას  
შეუძლია გაიღვიძოს, იწყოს ზრდა და  
ჩამოყალიბდეს ახალ დამოუკიდებელ  
მცენარედ. ამ თვისების გამო  
პირშუშხას გააჩნია უნარი  
გამრავლდეს ძირის მცირე ნაჭრითაც  
კი. ძირები ხნოვანებასთან ერთად  
უხეშდებიან და ცხარე გემოს იღებენ.

პირშუშხას ერთხელ დარგული  
მცენარე სწრაფად მრავლდება  
და ველურდება. ასეთი ფორმით  
გავრცელებული პირშუშხა  
ნარმოადგენს სახიფათო სარეველა  
მცენარეს სხვა სასოფლო-  
სამეურნეო კულტურებისათვის.  
მართლალია მისი ძირები ამ  
შემთხვევაშიც გამოიყენება  
საკვებად, მაგრამ ასეთი პროდუქტი  
ძალიან ცხარეა.

პირშუშხა იშვიათად ჰყვავის  
და როგორც წესი, აყვავების  
შემთხვევაში თესლს არ ივითარებს.  
ამიტომ მის გამრავლებას ახდენენ  
ვეგეტატიურად, ძირების ნაჭრების  
დარგვით.

### აგროტექნიკა.

პირშუშხას ძირების დარგვა  
შესაძლებელია როგორც  
გაზაფხულზე, ასევე შემოდგომაზე.  
საქართველოს პირობებში მისი  
დარგვა უმჯობესია განხორციელდეს  
შემოდგომის პერიოდში.

დასარგავად იყენებენ 0,5-1 სმ  
სისქის და 20-40 სმ სიგრძის ძირებს.  
დარგვის წინ ძირის შუა ნაწილს  
ჩვრით აცილებენ წვრილ ფესვებს.  
ქვემო ნაწილებზე დარგვის შემდეგ  
უვითარდება ფესვები, ზემო  
ნაწილებზე არსებული კვირტებიდან  
კი ვითარდება ვეგეტატიური  
ამონაზარდები.

დარგვისას ძირითადად  
იყენებენ 70X40-ზე კვების არეს.  
(70 სმ მნკრივებს შორის და 40 სმ  
მცენარეებს შორის, მწკრივში).  
ძირები ირგვება ბაძოებზე  
ვერტიკალურად, იმ ანგარიშით, რომ  
ზემოთა ნაწილი მიწაში ჩაიფლოს  
არაუმეტეს 3-სმ სიღრმეზე.  
ერთი ჰექტრისათვის საჭიროა  
600-დან 800 კგ-მდე სარგავი  
მასალა.

დარგვას ანარმოებენ 30 სმ-  
ზე და უფრო ღრმად მოხნულ  
ნიადაგში.

გაზაფხულზე, როდესაც  
ფოთლები დაინტენდებს  
აღმოცენებას და 20 სმ-ის  
სიგრძეს მიაღწევს, ანარმოებენ  
ნიადაგის პირველად  
დამუშავებას. ასევე საჭიროების  
შემთხვევაში საჭიროა ჩატარდეს  
სარეველების მოცილების და  
ნიადაგის გაფხვიერებისათვის  
საჭირო სამუშაოები. გვალვიანი  
სავეგეტატიური პერიოდის

შემთხვევაში აუცილებელია  
მორნევა.

### მოსავლის აღება.

პირშუშხას იღებენ გვიან  
შემოდგომაზე, ძლიერი სიცივეების  
დაწყებამდე. მცენარეებს  
მიწიდან იღებენ ბარის ან ფინლის  
საშუალებით, შემდეგ ფოთებს  
აჭრიან, ძირებს წმენდენ ჩრიტი და  
ახარისხებენ ორ ჯგუფად — წვრილ  
და მსხვილ ძირებად. წვრილი ძირები  
გამოიყენება სარგავ მასალად,  
მსხვილი ძირები კი გამოიყენება  
როგორც პროდუქტი.

მოსავლის აღებისას აუცილებელია  
ნაკვეთიდან აღებული იქნას  
პირშუშხას მაქსიმალურად ყველა  
ძირი, წინააღმდეგ შემთხვევაში  
ნაკვეთი დასარევლიანდება.

**საქართველოს აგრარიუსთა  
მოძრაობა**





ზემოთხსენებული მოსაზრებები  
ზედმინებინით მიესადაგება  
ლვანლმოსილ პედაგოგს,  
სახელმწიფო და საზოგადო  
მოღვაწეს ნური ნიუკარაძეს,  
რომელიც ქობულეთის რაიონის  
სოფელ ალამბარში დაიბადა. 1929  
წელს 22 წლისამ წარჩინებით  
დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური  
ტექნიკუმი და ქობულეთის საბაზო  
სამუალო სკოლის დირექტორად  
დაინიშნა, ერთი წლის შემდეგ კი  
ქობულეთის რაიონის განათლების  
განყოფილების გამგედ გადაიყვანეს.  
მისი აქტივური საქმიანობა და  
ნიჭიერება შეუმჩნეველი არ დარჩენია  
ავტონომიური რესპუბლიკის  
მაშინდელ ხელმძღვანელობას  
და უმაღლესი განათლების  
მისაღებად თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტში მიაღლინება. 1937  
წელს ნური ნიუკარაძემ წარჩინებით  
დაამთავრა უნივერსიტეტი,  
ბიოლოგიის სპეციალობით და  
დამთავრებისთანავე ბათუმის  
პედაგოგიური ტექნიკუმის  
დირექტორად დაინიშნება. მალე  
30 წლის ახალგაზრდა ბათუმის  
შოთა რუსთაველის სახელობის  
პედაგოგიური ინსტიტუტის  
რექტორად დაინიშნება, რომელსაც  
წლების განმავლობაში ედგა  
სათავეში.

ამ პერიოდში ინსტიტუტი  
პედაგოგიური კადრების  
ნამდვილი სამჯედლო გახდა. მისი  
კურსდამთავრებულები ასევებდნენ  
ვაკანსიებს აჭარის ცენტრაზე შორეული  
სოფლების სკოლებში. მათგან ბევრი  
იმავე სოფლების მცირდო იყო. ეს იყო  
ცენტრაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება  
აჭარის სოფლის ცხოვრებაში.  
არადა, აჭარის დედასამშობლოსთან  
დაბრუნების პერიოდიდან  
მოყოლებული, ჯერ მშობლიურ  
ენაზე სწავლება და შემდგომში  
საერთო განათლების შეტანა აჭარის

# უნივერსიტეტის ყველაზე ახალგაზრდა რეაქტორი - ნური ბერიაშვილი

ყოველ ადამიანს გარკვეული მისია აქვთ ამავეფერად, კვალი დაკრიტიკოს ისტორიას, ემსახუროს სამშობლოს და თავის ერს, ღირსეული ჰითამავლების დაუკავშირდებოთ საფუძვლით გაცემული თავის არსებობას.

სოფლებში უპირველეს საქმედ  
ითვლებოდა და ამას საქართველოს  
სხვა კუთხებიდან მოწვეული  
მასნავლებლები აკეთებდნენ. მათ  
კარგად ჰქონდათ გათავისებული,  
რომ დიდ ეროვნულ საქმეს  
ემსახურებოდნენ. მათ მართლაც  
დიდი ამაგი დასდეს აჭარას. რომ  
არა ისინი (განსაკუთრებით გურიის,  
სამეგრელოს, იმერეთის შვილები),  
აჭარაში სწავლა-განათლების საკითხი  
კარგა ხანს იქნებოდა სავალალო  
მდგომარეობაში.

ეს გოგო-ბიჭები ყველაფერს  
აკეთებდნენ, რათა თავიანთი  
პროფესიული და მამულიშვილური  
მოგალეობა პირნათლად  
შეესრულებინათ. სწორედ ეს  
ორი ძირითადი მოთხოვნა ედო  
საფუძვლად მათ საქმიანობას. არ  
ეპუზონდნენ სიდურჭირეს, მუქარას,  
პროვოკაციებს, მკაცრ ზამთარს  
და თავიანთი მამულიშვილური  
ვალი ფრიადზე მოიხადეს.  
ბევრძა ქალიშვილმა ბედი მთიანი  
აჭარის ვაჟკაცებს დაუკავშირა.  
მათ საუცხოო ოჯახები შექმნეს  
და სამშობლოს ჭეშმარიტი  
მამულიშვილები დაუზარდეს.

ნური ნიჟარაძის პატრიოტიზმი  
და სამშობლოს სიყვარული იმაშიც  
გამოიხატა, რომ დიდი სამამულო  
ომის დაწყებიდან მეორე წელს,  
როდესაც ქვეყანას ძალზე უჭირდა  
და მისი ლექტორ-მასწავლებლები  
და სტუდენტები ბრძოლის ველზე  
იბრძოდნენ, გადაწყვიტა, მოხალისედ  
ნასულიყო ფრონტის წინა ხაზზე, და  
ეს მაშინ, როცა მას ომში წასვლისგან  
ჯავშანი იკავდა.

ომიდან დაბრუნების შემდეგ  
ნური ნიუარაძე სხვადასხვა  
თანამდებობებზე მუშაობდა. იყო  
საოლქო კომიტეტის სასკოლო  
განყოფილების გამგე, აჭარის  
განათლების სახალხო კომისარი,  
აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე  
მდივანი; საქართველოს უმაღლესი  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.  
აჭარის მინისტრთა საბჭოს ყოფილი  
თავმჯდომარე აკადემიკოსი მამია  
გოგოლიძე მას ასე ახასიათებს:

„ნური ნიჟარაძე იყო ძალზედ  
განათლებული, თავისი საქმის  
პროფესიონალი. ყველას მიმართ  
ობიექტურობასა და პრინციპულობას  
იჩენდა. ამავდროულად, მათ  
ადამიანურ ღირსებასაც აფასებდა  
და სათუთად კაიდებოდა“.

ერთ მშვენიერ დღეს მან  
თანამდებობას ღირსებისა და  
პრინციპების დაცვა არჩია, საკუთარი  
სურვილით დაუბრუნდა პედაგოგიურ  
მოლვანეობას. იგი მწვანე კონცხის  
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურის  
დირექტორად დაინიშნა, სადაც  
23 წელი იღვანა და შესანიშნავი  
სამეცნიერო-პრაქტიკული ბაზა  
შექმნა.

სტუდენტების განკარგულებაში  
იყო ციტრუსებისა და სხვა  
სუბტროპიკული კულტურების  
სასწავლო ნაკვეთები.  
სწავლების ხარისხთან ერთად  
იზრუნა სტუდენტებისათვის  
საყოფაცხოვრებო პირობების  
გაუმჯობესებაზეც. ააშენა  
კეთილმოწყობილი სტუდენტთა  
საცხოვრებელი კორპუსი და  
სპორტულარბაზი. ტექნიკუმი  
და კომპლექტდა ახალგაზრდა  
მაღალკულიციური პედაგოგებით.  
მას მინიჭებული ჰქონდა აჭარის  
დამსახურებული მასწავლებლის  
წილება, დაჯილდოებული იყო  
ორიენტირობა და მითითებულ

იგი დამსახურებულ პენსიაზე  
ნაადრევად გავიდა. უფრო სწორად,  
გაუშვეს ისე, რომ განეული  
შერმისათვის მაღლობაც არ  
გადაუხადეს.

ნათქვამის, გამოჩენილი ადამიანების  
სიკედილი მათი უკვდავების  
დასაწყისიაო. ასეა ნური ნიუარაძის  
შემთხვევაშიც. იგი აგრძელებს  
ცხოვრებას თავისი გაკეთებული  
საქმეებით და იმ სახელით, რაც  
ხალხის მექსიკურებას შემორჩა.

**რეზო პაპინძე,**  
პროფესორი, საქართველოს  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,  
ს/მ მეცნიერებათა დოქტორი.

# უფრო ნაზი ვიდრე მცველავის ხელგაი

ჯერ კიდევ ხელით  
წველი?

დელავალის (DeLaval) მოგილური  
გადასატანი საწველი დანადგარი



საქართველო  
მუნიციპალიტეტი



მოდელი MMU11



მოდელი MMU12



მოდელი MMU22

**დელავალის (DeLaval) მოგილური  
გადასატანი საწველი დანადგარი**

ის რაც თქვენ გზირდებათ:

- შეგიძლიათ მოწვევლით 1-დან 16 ძროხამდე გავითვალისწინოთ მოწვევლის დროს
- გაგითვალისწინებთ შრომას
- იცავს ცურის ჯანმრთელობას
- ზრდის მონაწველი რძის რაოდენობას და ხარისხს
- იოლი მოსახმარია

კომპანია დელავალის  
ოფიციალური დილერი  
საქართველოში

**WORLD TECHNIC**  
სამუშაო  
გეოგრაფია  
ტექნიკა

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge

☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

ტექნიკური დახასიათება

მოდელი	MMU11	MMU12	MMU22
საწველი ნაწილების რაოდენობა	1	2	2
ბიდონების რაოდენობა (უუანგავი ფოლადი ტევადობა 25ლ.)	1	1	2
ბიდონების საერთო ტევადობა	25	25	50
რამდენი ძროხის მოწველა შეუძლია ერთ საათში	8	16	16
ცარიელი დანადგარის წონა (კგ.)	67	73	82
სიგრძე/სიგანე/სიმაღლე (მმ.)	1200/520/930	1200/520/930	1200/695/930
ვაკუუმის ტუმბოს წარმადობა (ლ./წთ.)	170	170	170
ძრავის სიმძლავრე (კვტ.)	0.75	0.75	0.75

თქვენი ყოველდღიური საიმედო დამხმარე



MASSEY FERGUSON



 **AGCO**  
Your Agriculture Company

ოფიციალური დილერი  
**WORLD TECHNIC**  
სამუშაო  
  
www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge  
+995 290 50 00; +995 218 18 81

# სამეცნიერო ცენტრი “KAAN”

ჯიში გამოყვანილია თურქეთის რესპუბლიკაში “თრაქია თარიმი”-ს მიერ 2005 წელს. სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია 2009 წლიდან.

## დასასიათება:

მცენარე საშუალო სიმაღლის  
ფხიანი ფორმა  
მოწითალო ფერის მარცვალი  
ამტანია ჭრაქისა და ჟანგების მიმართ  
საშუალოდ ამტანია სეპტოროზის მიმართ  
საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 5.5-8.5 ტონას 1 ჰა-ზე  
ჯიში საქართველოში გამოცდილია 2012 წლიდან

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA  
სსიპ სოფლის მეურნეობის სამსახური-კოლეგია ცნობილი ცნობილი  
LEPL Scientific-Research Center of Agriculture  
დოკუმენტი დართილი მომართვილი სისტემა  
Voluntary Certification System

სიმბოლიზირებული  
VARIETAL CERTIFICATE  
N: 918.....

სრულიდან თრგანო/ Name of designated authority issuing the certificate:  
სოფლის მეურნეობის სამსახური-კოლეგია ცნობილი ცნობილი  
მცენარე მარცვლი, კოდ/ Seed producer, code:  
შ.პ.ს. აგრომატი 404395882

თესლის პარტიის ნომერი/Lot reference number: GE 15 C 002 012  
კულტურა: ხორბალი ბორბოლებული სახელმწიფოდას: *Triticum aestivum L.*  
Crop Wheat Botanical name: *Triticum aestivum L.*  
პარტიის ნონა 30 ტ. ჭამ/ჰიბრიდი კანი  
Declared weight of the lot 30 T. Variety/Hybrid: Kaan

## ხარისხის მაჩვენებლები

- ნატურა 770-780
- ნებოგვარა 25-27 %
- იდეკა 70-75
- 1000-ც მარცვლის ნონა 38-45 გრ
- თესვის ნორმა 200-250 კგ



ტელ.: +995 599 971 766  
+995 577 210 210



# სამოწვევო ცოდნალი “HAKAN”

ჯიში გამოყვანილია თურქეთის რესპუბლიკაში “თრაქია თარიმი”-ს მიერ 2005 წელს. სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია 2009 წლიდან.

## დახასიათება :

მცენარე საშუალო სიმაღლის  
უფხო ფორმა

თავთავი მოთეთრო ფერის, ნითელი მარცვალი  
საშუალოდ საადრეო ჯიში

ამტანია ჭრაქისა და ჟანგების მიმართ

საშუალოდ ამტანია სეპტოროზის მიმართ

საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 5.0 - 7.5 ტონას 1 ჰა-ზე

ჯიში საქართველოში გამოცდილია 2012 წლიდან



## ხარისხის მაჩვენებლები

- ნატურა 780 - 800
- წებოგვარა 22 - 25 %
- იდეკა 75 - 80
- 1000 ფ მარცვლის წონა 37 - 42 გრ
- თესვის ნორმა 200-250 კგ



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA

სახა სოფლის მარნეულისა და მეცნიერებლის დამინისტრირებული სამინისტრო  
LEPL Scientific-Research Center of Agriculture

ნიაზოფლებელი სამინისტრო სისტემა

Voluntary Certification System



## სერტიფიკატი

### VARIETAL CERTIFICATE

№ 011.....

სერტიფიცირების ორგანო / Name of designated authority issuing the certificate:

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი/SRCA

თესლის მრამოებელი, კოდი/ Seed producer, code:

შ.პ.ს. აგრომაქსი 404395882

თესლის პარტიის ნომერი/Lot reference number: GE 15 C2 002 005

კულტურა: ხორბალი

ბოდინვარი საეკონომიკური: *Triticum aestivum L.*

Crop Wheat

Botanical name: *Triticum aestivum L.*

პარტიის ნომ. 30 ტ.

კუთხი/პარტიის ჰარი

Declarer weight of the lot 30 T.

Variety/Hybrid: Hakan

ტელ.: +995 599 971 766

+995 577 210 210

**AGROMAX**

